№ 6

ფეიერი

ამერიკელები ტფილისში. სხედან: 1) ამხ. ა. ქოლავა (რემედასის საქ. ც. კ. მდივანი), 2) ე. რუბენ, 3) ა. მუდიანო (ამერიკელები); სდგანან: ა. გევორქოვი და მ. ცქვიტინიძე (ცეკას პრეზიდიუმის წევრები).

ივნისი

1928

რემეფასის
საქარო. სენტ. კომიტეტის
ყოველთვიური ორგანო

თვიდან-თვემდე

საბერძნეთი

პოლიციელთა კონგრესი

საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ათინაში ახლო მომავალში იწვევს მახლობელ ოლქების პოლიციის უფროსებს. კონგრესის მიზანია გამოიმუშაოს ახალი ღონისძიებანი მომავალში კომუნისტურ მოძრაობასთან საბრძოლველად.

ყრილობის დღის წესრიგში ცალკე სდგას საკითხი იმ ბეჭდვითი ორგანოების შესახებ, რომლებსაც სცემს კომუნისტური ორგანიზაცია და ვრცელდება მთელ რიგ ოლქებში, ამ ნიადაგზე უახლოეს წარსულში დახურული იქნა მთელი რიგი სტამბები და კომუნისტური ორგანიზაციათა რედაქციები.



მუშათა განთავისუფლებისათვის დაღუპულთა საფლავზე ამართული ძეგლი ჩიკაგოში (ა. შ. შ.)

მუშათა დევნა ჩინეთში

დასჯა კანტონში

კანტონში (სამხრეთ ჩინეთის სატახტო ქალაქია) მიმდინარე წლის მარტში, რამდენიმე დღის განმავლობაში, პოლიციის მიერ შეპყრობილია 463 კაცი, რომელთაგანაც 230 უკვე დასჯილია. ამერიკის პრესის აზრით ასეთი სიმკაცრე გამოწვეულია იმით, რომ კანტონის ხელისუფლება გრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს, იქ მდგომი გარნიზონის ჯარისკაცები არ არიან სრული ნდობით აღჭურვილნი—დასძენს ის.

ჩეხო-სლოვაკია

მუშათა დემონსტრაცია პრაღაში

მიმდინარე წლის აპრილის 3, პრაღასა (ჩეხოსლოვაკიის სატახტო ქალაქია) და რეს-პუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში, მოეწყო მუშათა. უდიდესი დემონსტრაციები მათი დაზღვევის საკითხების გაუარესების გამო. პრაღაში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 100.000 მუშა. დემონსტრაცია ჩატარებულ იქნა კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. დემონსტრაციის დროს

ქუთაისის რკ. გზის რემედასის რაიკ. პრეზიდიუმი

პრაღა წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს. მთელს ქალაქში დაძრწოდენ პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტები. ქალაქის სხვადასხვა უბნებში ადგილი ჰქონდა პოლიციელებთან სისხლიან შეტაკებებს.

ბორის სტეფანოვის წერილი

აი რას ვკითხულობთ სტეფანოვის წერილში საპატიმრო „ჟილავა"-ს შესახებ:

„...მოვიდა სიგურანცის მთავარი ინსპექტორი ბანკულესკუ, — სწერს სტეფანოვი, — ჩააბარა ჩემი თავი მორიგე კომისარს და თითონ კი წავიდა.

ხელფეხი შემიკრა მე რკინის ბორკილებით და დაიწყო „დაკითხვა". გეორგესკუ, ჯანდარმის ფელთფებელი და სიგურანცის ერთ-ერთი აგენტი მცემდენ მე კომბლებით, ჭუსლით, სანამ უგრძნობლად არ დავეშვი. ადვილი წარმოსადგენია, თუ, როგორ მძიმედ სცემენ ისინი პატიმრებს, მის შემდეგ მაინც რაც მე წამაქციეს. კომისარმა მომასულიერა მე და დაიწყო ყვირილი:

— შენ ხომ უფროსი ხარ კომუნისტების, მოიფიქრე კარგად, ჩაუფიქრდი შენს ჩვენებას თორემ ინანებ. ყოველ საღსრებს გადმოგიბრუნებთ და მაშინ იმაზე მეტს იტყვი, რაც იცი.

ერთი საათის შემდეგ ის ისევ დაბრუნდა და დამიწყო იმისი გამოკითხვა თუ სად ვიყავი მე. ამის შესახებ მე მას უარი ვუთხარი, ვინაიდან არ მსურს ზიანი მოუტანო იმ ხალხს რომელსაც ჩემთვის არა ერთხელ აღმოუჩენია დახმარება. მან კვლავ განაახლა ჩემი ცემა-ტყეპა და მცემა მანამ, სანამ უგრძნობლად არ დავეში. ასე, უგრძნობლად ვიგდე მე მეორე დილამდე. დილით ადრე მე დამიბარეს ბანკულესკუს კაბინეტში. აქ მე გამიშინჯა ექიმმა ცემის დროს მიყენებული ჭრილობები და დაბეჟილი ადგილები. რკინის ბორკილებმა საშინლად დამიწყლულეს მე ხელ-ფეხი. ექიმმა ბრძანება გასცა ბორკილების მოხსნის შესახებ, მაგრამ იარების მორჩენის მიზნით კარგად შეხვევის მაგივრად შემიკრეს მსხვილი ბაწრით, რამაც უფრო გააძლიერა ტკივილები. ასეთია აქ პატიმრებისადმი მოპყრობის არაადამიანური მეთოდები".

ამხ. ოტო ბრაუნ

მიმდინარე წლის აპრილის 4, ბერლინის სახელმწიფო სასამართლოში უნდა დაწყებულიყო კომუნისტ ოტო ბრაუნის საქმის მოსმენა. 1923 წ. ბრაუნი სხვა მის ამხანაგებთან ერთად შეუვარდა პოლკოვნიკ ფრეიბერგს და გაიტაცა

მთელი გროვა საბუთები. ამ საქმის გამო ბრაუნს მიუსაჯეს 7 თვე ციხეში დაპატიმრება. 1926 წ. ის ისევ დააპატიმრეს, მაშინ მას სწამებდენ სახელმწიფო ღალატს. ციხე მოაბიტიში (ბერლინი) ის იმყოფე ბოდა გაქცევამდე. ბრაუნი უნდა გაენთავისუფლებიათ 11 აპრილს, სწორედ იმ დღით, როცა მის სანახავად მოვიდა მისი საცოლე ოლგა ბენარიო. 6—7 შეიარაღებული კაცი შევარდა მისაღებ ოთახში და გაიტაცეს ბრაუნი და მისი საცოლე, ამრიგად მიიმალენ „ბოროტმოქმედნი".

363(∞)(05)
ห 43.

წელიწადი მეოთხე

№ 6 (8)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

∞ 1928 ∞

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პროლეტარეᲜᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ლენინის ქ., № 29, II-რე სართ.

∞ ტელ. 9-78 ∞

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ყველასათვის ცხადია, რომ ზაფხულში საერთოდ ირღვევა სისტემა ჩვენი ორგანიზაციული მუშაობისა. მიუხედავად ამ უხერხულობისა უნდა ითქვას, რომ ზაფხული მასიურ-აგიტაციურ მუშაობის ბევრ შესაძლებლობებს იძლევა. რემედასს რომ ბევრი აქვს გასაკეთებელი ორგანიზაციულის მხრივ ეს უდაო ფაქტია, ბევრი რამე აქვს ჩვენს ორგანიზაციებს მოსაწესრიგებელი არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქ ადგილებშიაც.

განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა მიექცეს სოფელს, სადაც რემედასის ორგანიზაცია ვერ არის ჩამოყალიბებული, სოფლად რემედასმა უნდა გააღრმავოს თავისი მუშაობა, უნდა მისცეს ახსნა-განმარტება გლეხობას, გლეხის ქალებს და გლეხურ ახალგაზდობას რემედასის ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად საჭიროა სოფლად შვებულებაში მიმავალი ამხანაგების გამოყენება, ასეთები არიან მოწაფეები და მუშა-მოსამსახურეები. უნდა ვეცადოთ, რომ ეს შვებულები გადაიქცენ რემედასის ორგანიზაციის ნაყოფიერების წამომწყებებად სოფლად.

რემედასის რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან შვებულებაში მიმავალთათვის მოაწყონ სპეციალური საღამოები რემედასის სოფლის უჯრედის მუშაობის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლად, გლეხობას შეიძლება კაცმა შეურჩიოს იმდენი დრო, რომ მასთან ჯეროვანი საუბარი გამართოს რემედასის ორგანიზაციის წარმატების შესახებ.

ზაფხულში ჩვეულებრივად სწარმოებს ბანაკად გასვლა. საჭიროა რემედასის მუშაობა შეუფარდონ საბანაკო პირობებს—ეს არის რემედასის სამხედრო ნაწილებისა და მათ ახლო მდებარე სოფლების ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა. საჭიროა ახლო-მახლო ბდებარე სოფლები გაცნობილი იქნენ რემედასის მუშაობას—ეს არის ბანაკში რემედასის უჯრედების პირდაპირი მოვალეობა.

ამავე დროს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სეზონის მუშებთან რემედასის მოღვაწეობის გაღრმავებას. შეიჩნეულია, რომ ასეთი მუშები განსაკუთრებით სოფლიდან მოდიან, მათთან რემედასის მუშაობის ჩატარება გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისვას. სასეზონო მუშებთან მუშაობის კარგად დაყენება საწინდარი იქნება სოფლად მუშაობის ჯეროვანად დაგვირგვინებისა. ეს სეზონის მუშები სოფლად დაბრუნების შემდეგ ხელს შეუწყობენ გლეხკაცობაში ჩვენი ორგანიზაციის მომაგრებას.

ზაფხულში ქალაქის ორგანიზაციების მუშაობა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, მუშაობა გადატანილი უნდა იქნეს იმ ადგილებში სადაც საერთოდ თავს იყრის დასასვენებლად მშრომელი მასა.

რემედასის ბორჩალოს ორგ. მესამე კონფერენ. დელეგატები.

ჩვენ გვმართებს ფეხი მაგრად მოვიკიდოთ პროფკავშირების ბაღებში, საჯარო სეირნობის ადგილებში, სასპორტო მოედნებზე, საზაფხულო კლუბებში და სხვ კუთხეებმა უნდა გააძლიერონ რემედასის მუშაობა ამ ადგილებში ლატარიისა, და სხვ. მოწყობით.

მასიური სეირნობისა და სადმე გამგზავრების დროს მიზანშეწონილათ იქნეს ცნობილი რემედასის მოძრავი ბიბლიოთეკის მოწყობა.

ყურადღების ღირსია და ყოველმხრივად გამართლებულია რემედასის წევრთათვის ექსკურსიის მოწყობა რომელიმე ისტორიულ-რევოლიუციონურ ადგილებში.

ამ ექსკურსიის დროს ჩატარებული უნდა იქნეს ამ ადგილთან დაკავშირებით საუბარი, ან სასურველია ასეთივე საუბარი მოეწყოს რემედასის ირგვლივ.

ამრიგად ზაფხულის განმავლობაში ძალიან ბევრი შესაძლებლობები აქვს რემედასის ორგანიზაციებს მუშაობის მკვიდრ დონეზე დასაყენებლად. საჭიროა ყოველი რემედასელი ღრმად ჩაუკვირდეს მის მოვალეობას და საცა არ უნდა მოხვდეს ის შეიტანოს თვისი წვლილი რემედასის რიგებში.

ჩვენი ლოზუნგია ზაფხულის განმავლობაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოქვეითდეს რემედასის მუშაობა. ამისი განაღდება თქვენზეა რემედასელებო!

ამხ. ბელა კუნის დაპატიმრება

ვენის პოლიციამ დააპატიმრა უნგრეთის რევოლიუციის ბელადი ამხ. ბელა კუნი, ავსტრიის „დემოკრატიული“ მთავრობა ლამობს მის გადაცემას ხორტის ჯალათებისადმი.

ამხ. ბელა კუნი ახალგაზრდობიდანვე მიემხრო უნგრეთის მუშათა მოძრაობას. მსოფლიო ომის დროს ის ჯარში იყო გაწვეული და 1916 წ. ტყვედ მოხვდა რუსეთში.

1918 წ. ნოემბერში ბელა კუნი დაბრუნდა ვენგრიაში. ბურჟუაზიულ-სოციალ-დემოკრატიული კოალიცია მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდა შეეჩერებინა რევოლიუციონური მოძრაობა ვენგრიაში. მიუხედავად ამისა ბელა კუნმა შესძლო დაქსაქსული პარტიები შეერთებია ერთ მთლიან და მტკიცე კომუნისტურ პარტიაში.

ხელისუფლებას შეეშინდა მუშათა მოძრაობის უფრო გაძლიერებისა და თავისი არსებობის უზრუნველსაყოფად მან გადასწყვიტა სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა კომუნისტური პარტიისათვის. 1919 წ. თებერვ. 20, კუნი და მუშათა მოძრაობის რამდენიმე სხვა ამხანაგები დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს, აღსანიშნავია ის გარემოება რომ კუნის დაპატიმრების შემდეგ სასიკვდილოთ სცემეს, მაგრამ მარტის 21, როცა სოციალ-დემოკრატიულმა ბელადებმა ყოველგვარი ნიადაგი დაკარგეს მუშათა მასებში იძულებულნი გახდენ კუნისათვის გაეგზავნათ წარმომადგენელი. ვენგრიის პროლეტარიატი ადგა და გამოაცხადა თავისი დიქტატურა.

ამხ. ბელა კუნი

ამხ. კუნი იყო სულის ჩამდგმელი უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისა, რომელიც 4 თვის განმავლობაში აწარმოებდა თავდაცვას გარშემორტყმული უძლიერესი მტრისაგან. მტარვალმა გაიმარჯვა. საბჭოთა წყობილება დაამხეს და ის შესცვალა საკვირველმა და მოულოდნელმა თეთრმა ტერორმა.

ხორტის მთავრობამ საბჭოთა ვენგრიის მოღვაწეები სახელმწიფო მოღალატეებათ გამოაცხადა და მათ დასჯას ფიქრობდა.

ამხ. კუნი ავსტრიაში გაიქცა, მაგრამ ხორტის ჯაშუშებს არ ეძინათ. კუნს რამდენიმეჯერ მოუწყვეს თავდასხმა. ის გადაარჩინა მხოლოდ მისი პირადი მეგობრების სიფხიზლემ,

1919 წ. სექტემბერში უნგრეთის მთავრობამ ავსტრიის მთავრობას მოსთხოვა გაეცა ამხ. ბელა კუნი და სხვა სახალხო კომისრები უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისა. მაგრამ ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ არ შეიწყნარა ეს მოთხოვნილება.

1920 წ. ივლისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ავსტრიასთან, რომლის თანახმად უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის კომისრებს საშვარება უნდა მისცემოდა ავსტრიის ტერიტორიაზე თავისუფალი ცხოვრებისა. მაგრამ ბელა კუნმა უკვე თავი დააღწია ავსტრიის დემოკრატიულ საპყრობილეს. მან საშვალება მიიღო საბჭოთა რუსეთში გამომგზავრებისა.

უკანასკნელ ხანებში, ამზადებენ რა ბელა კუნის გასაცემად ხელსაყრელ ნიადაგს, ავსტრიის იუსტიციის მინისტრი უარყოფს ზემო აღნიშნულ ხელშეკრულების არსებობას ავსტრიასა და საბჭოთა კავშირის შორის. ავსტრიის კანცლერი დაჟინებით მოითხოვს ბელა კუნის დასჯას. ლამობენ მის გამოცხადებას „სახელმწიფო მოღალატეთ“, რომელმაც თითქოს უკვე დაიმსახურა ეს სასჯელი.

საერთაშორისო პროლეტარიატმა კარგად იცის, რომ მისი დიადი მომავლისთვის მებრძოლ ამხანაგებზე პიროვნული თავდასხმა, რომელსაც სისტემატიურად აწარმოებენ ბურჟუაზიის ნაძირალები, მიმართულია საერთაშორისო პროლეტარიატისადმი. ამიტომაც არის, რომ მთელი ქვეყნის ტვირთმძიმენი სასტიკი პროტესტით შეხვდენ ამხ. ბელა კუნის გაცემის განზრახვას.

რემედასის ცენტ. კომიტეტში ყოველ დღე შემოდის საპროტესტო რეზოლიუციები, სადაც ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ზიზღს უცხადებენ ბურჟუაზიული ჯალათების განზრახვას.

როგორც უკანასკნელად იუწყებიან, კუნის საქმის გარჩევა დანიშნულია ივნისის 26 სათვის. პროცესზე დაშვებული იქნება საზოგადოების მცირეოდენი ნაწილი, მოსალოდნელია, რომ სასამართლომ საქმის პროცესი აწარმოოს სრულიად დახურულ კარებში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან ბელა კუნის საქმის გარშემო სწერს უკანასკნელ ხანებში მთელი ქვეყნის, როგორც პროლეტარული ისე ბურჟუაზიული პრესა. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება, ორივე ეს მხარე ბელა კუნის მომავალი პროცესით მეტის მეტად დაინტერესებულია. პირველი დაინტერესებულია საერთაშორისო რევოლიუციის ეს მტკიცე და შეურყეველი დარაჯი გამოგლიჯოს სიკვდილს, ხოლო მეორე მოწადინებული მისი განადგურებით, რათა ამით შეჰკვეცოს საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობა და გაახანგრძლივოს თავისი საგრძნობლად შერყეული პოლიტიკური მდგომარეობა.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასის პროტესტები შეაჩერებს ამ საზიზღარ განზრახვას. ამისი ნიშნები უკვე არის.

ამ დიდ ბრძოლაში რემედასს აქვს თავისი წვლილი. ის კვლავინდებურად ფხიზელ დარაჯათ სდგას საერთაშორისო რევოლიუციის სადარაჯოზე.

ალ. ქოიავა

ამხ. ანდრე მარტის პროცესი ბულონში

მიმდინარე წლის თებერვალში ამხ. ანდრე მარტი პარიზის საპყრობილე „სანტე.“-დან გადაიყვანეს ბულონში, რათა თებერვლის 10 ის წაეყენებიათ გამასწორებელ სასამართლოს წინაშე, მას ბრალდებოდა ჯარის კაცთა და მეზღვაურებისადმი მოწოდებით მიმართვა. ხელისუფლებას შეეძლო ის გაესამართლებია პარიზში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ბულონის სამხედრო საპატიმროში, თავი იჩინა მღელვარებამ და მუშები აწყობდენ მხედრობისადმი თანაგრძნობის გამომსახველ დემონსტრაციებს, ამრიგად საფრანგეთის ხელისუფლებისათვის აუცილებელ საჭიროებად იყო ცნობილი დაემკვიდრებინა მას წესრიგი ამ მეტად თვალსაჩინო ნავთსადგურში. ამისათვის ერთ-ერთ უმთავრეს საშვალებათ მიჩნეული იქნა ამხ. მარტის გასამართლების საჩვენებელი პროცესის მოწყობა ბულონში.

სასამართლოს პროცესის დროს ამხ. მარტი გამოვიდა ვრცელი სიტყვით, მან თავდაცვის შემდეგ დაახასიათა ის საშინელი რეჟიმი, რომელიც სუფევს ყაზარმებში და მეზღვაურებს შორის.

„ჩვენ ბრალს გვდებენ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა წაქეზებაში, რათა ამ უკანასკნელებმა მოაწყონ აჯანყებები—სთქვა მან,—მაგრამ აჯანყებები ეწყობა იმიტომ, რომ მაგალითად 1923 წ. ფლოტის ბიუჯეტი საგრძნობლად შეამცირეს, რასაც შედეგად მოჰყვა მეზღვაურთა ცუდი ჰკვება, ეს მაშინ, როცა ფლოტის საიდუმლო ფონდი ერთი-ორად გააძლიერეს,—აი ნამდვილით მიზეზი ამ აჯანყებებისა“.

„თქვენ განცვიფრებაში მოხვალთ განა, როცა გაიგებთ, რომ ზედამხედველები სასიკვდილოდ სცემდენ პატიმრებს, რომლებიც უარს აცხადებდენ უვარგის საჭმლის მიღებაზე? საზღვაო საპატიმრო „მარიტიმში“ მომხდარ აჯანყების მიზეზები უნდა ვეძიოთ არა კომუნისტებთან, არამედ მთავარ შტაბსა და სამხედრო სამინისტროში.

სასამართლოს მიერ მისი სიტყვის უარყოფის საპასუხოდ მარტიმ განაცხადა „თუ კი თქვენ ბ-ნო მსაჯულო მომცემთ მე თავდაცვის საშვალებას, ისე, როგორც მე მინდა, მაშინ დაგიმტკიცებთ, რომ გზა კალვიდან კამიზამდე (კორსიკა) ასზე მეტი ტრიბუნალის სხდომა დაუჯდა ჯარისკაცთა ფარაჯებში გადაცმულ მუშებსა და გლეხებს, აი სად გახლავ აჯანყებისათვის წამაქეზებელი მიზეზები.

მე ბევრი საათები დამჭირდება მთელი იმ ამბების გადმოსაშლელად, რომელსაც იქ აქვს ადგილი. აი კიდევ ერთი მიზეზი დეკემბრის 24 აჯანყებისა,—ამბობს ამხ. მარტი“.

მარტთან ერთად სასამართლოს წინაშე წარსდგა ორი ამხანაგი—როკი და როშნერი, პირველი მდივანია ხმელთაშუა ზღვის კომპარტიისა, ხოლო მეორე კი გაზეთის რედაქტორი. ეს უკანასკნელნიც საკმაო გამბედაობით აწარმოებენ თავდაცვას.

როკი: მე კი არა, თქვენ გსურდათ ამ პოლიტიკური პროცესის მოწყობა ყაზარმებსა და საპატრამროებში მოწყობილი აჯანყებები არ შეიძლება გამოვაცალკევოთ პროლეტარიატის საერთო მოძრაობიდან.

თავმჯდომარე: თქვენ აჭიანურებთ თქვენს დანაშაულს.

როკ: მეზღვაურები არ იბრძოლებენ კაპიტალისტებისათვის. იმპერიალისტურ ომებს ისინი კლასობრივ ბრძოლებათ გადააქცევენ.

თავჯდომარე: წინადადებას გაძლევთ გაჩუმდეთ. მიუხედავად ამ ბრძანებისა როკს განზრახვა ჰქონდა განეგრძო სიტყვა, მაგრამ მივარდენ მას ჟანდარმები და ის სწრაფად მოაშორეს ბარიერს.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში პოლიცია ფრთხილი გაჩხრეკით და დაკვირვებით უშვებდა ხალხს, უკანასკნელი ძალიან ხშირად ოვაციებს უმართავდა, როგორც თვით დამცველებს, ისე ბრალდებულებსაც.

ამხ. ანდრე მარტის, რომელმაც ბევრი წლები გაატარა, მსგავსი ბრალდებებისათვის ციხეში, სასამართლომ მიუსაჯა 2 წელი ციხე და 1000 ფრანკი ჯრამა.

ვ. შ.

უნდა გამოცოცხლდეს რემედასის მუშაობა

ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ საკმაო არაა მარტო რემედასის წევრობა. საჭიროა ყოველი პატიოსანი მშრომელი ღირსეულად ატარებდეს ამ ორგანიზაციის წიგნაკს. რემედასის წევრი ვალდებულია ფხიზელი თვალყური ადევნოს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას, მას უნდა ესმოდეს ის საშინელი და განწირული გმინვა, რომელიც გაისმის ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასე არ ხდება. მშრომელთა ფართე მასებში, გლეხობაში, მშრომელ ქალებში და გლეხურ ახალგაზრდობაში ვერ ტარდება რემედასის მუშაობა ჯეროვნად, ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ამ ნაკლის გამოსწორებაში დიდი როლი უნდა ითამაშონ, რემედასის კომიტეტებმა და ბიუროებმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეს მაზრებში ზოგან ფორმალურად არსებობს რემედასის ორგანიზაცია, ზოგიერთი წევრები ისე, სხვათა შორის ატარებენ რემედასის წიგნაკს, არ იკრიბება საწევრო გადასახადები, არ კეთდება მოხსენებები, დროზე არ ტარდება ესა თუ ის კამპანიები და სხვა და სხვა.

მასას ნაკლები წარმოდგენა აქვს, რემედასზე მათ არც იციან რემედასის საქ. ც. კ. ყოველთვიური ორგანოს ჟურნალ „რემედასის“ არსებობა და სხვ. ყველაფერ ამაში ჩვენის აზრით დამნაშავეა სამაზრო კომიტეტი, რომლის უმოქმედოების ნაყოფია, ფართე მასებში რემედასის მუშაობის სისუსტე.

რემედასის სამაზრო და სარაიონო კომიტეტები ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლებლად არა-

ვითარ ზომებს არ ღებულობენ. ამას ჰქვია რემედასის საქმისადმი სხვათა შორის მოპყრობა. რაც დაუყონებლივ უნდა იქნეს აღმოფხვრილი, რემედასს უდიდესი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, თუ მართალია ის გარემოება. რომ ჩვენი თავისუფალი რესპუბლიკათა კავშირის პროლეტარიატი წარმოადგენს საერთაშორისო ოქტომბრის მტკიცე წითელ ზურგს და ამაში ეჭვი არ ეპარებათ ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ამხანაგებს, მაშინ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ და საერთო საქმეს ზიანის მეტს ვერაფერ შევმატებთ.

ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა და თუ სოფლად ვერ მოახერხებს, სამაზრო ადგილებში მაინც უნდა ჩაატაროს მან მოხსენებები რემედასის შესახებ, უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა ორგანიზაციულ მუშაობას, რისთვისაც საჭიროა უფრო მეტი კავშირი ცეკასა და ადგილებს შორის, რაც დღემდის მოისუსტებს.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ ქალაქად რემედასის ორგანიზაციებში უმთავრესად ჩაბმულნი არის მოსწავლე ახალგაზრდები, რომლებიც საშვალო ცოდნის მიღების შემდეგ დაუბრუნდებიან სოფლებს. ამ ახალგაზრდობამ უნდა გააჩაღოს რემედასის მუშაობა სოფლად გლეხობაში. ამისთვის საჭირო მოსწავლეთა შორის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებულ იქნეს როგორც საორგანიზაციო ისე აღმზრდელობითი მუშაობა და ამ მხრივ აწეული იქნეს მათი ცოდნის დონე.

ადგილებზე ორგანიზაციები უნდა შეუდგენ ჟურნალ რემედასის გავრცელებას მშრომელთა მასებში. ამით ჩვენ ხელს შეუწყობთ მშრომელთა მასებში ინტერნაციონალური იდეის პოპულიარიზაციას, უნდა მოვაგონოთ ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ხშირად წარამარა ხარჯავს ფულს მან ეს მოახმაროს ჟურნალ — გაზეთების შეძენას, ამ შემთხვევაში მათ უნდა ვურჩიოთ გამოიწერონ ჟურნალ რემედასი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ყოველი მოწაფე შესძლებს თვეში 20 კაპ. გადახდას „რემედასის“ შესაძენად.

ჟურნალ „რემედასი“ უნდა გავრცელდეს მშრომელ ახალგაზრდობაში, ამ საქმეში ა. ლ. კ. კ. უნდა ითამაშოს უმთავრესი როლი.

პოლიკარპე ოჩიგავა

ახალ—სენაკი.

„საკოსა და ვანცეტის“ საქმე საბერძნეთში

საბერძნეთში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას, რომელიც თავისი წვრილმანებით ძალიან ჩამოჰგავს საკოსა და ვანცეტის საქმეს. ეს საქმე ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ საერთაშორისო კლასიური იუსტიცია მუშათა რევოლიუციონურ მასების გასანადგურებლად ყველგან ერთსა და იმავე მეთოდების მიმართავს.

ერთხელ ლამით ათინის ქუჩაზე იპოვეს ვიღაც ფაშისტ გეროპლადატოსის გვამი. მკვლელი უგზო უკვლოდ მიმალულა, მაგრამ მოკლულის ამხანაგებმა გადასწყვიტეს მკვლელობა გამოეყენებიათ კომუნისტ მუშების წინააღმდეგ. მათ პოლიციელებთან ერთად გამოიმუშავეს გეგმა და დააპატიმრეს ორი რევოლიუციონერი—დ. საკარელოსი და ე. ფემაზოსი, ესენი ორივენი ცნობილნი იყვნენ თავიანთი აქტიური პროფესიონალური მოღვაწეობით. მათი პროცესი შეხვდა ლივადიაში. ბრალდების დამტკიცებელმა ვერც ერთმა მოწმემ ვერ შესძლო სწორი და ნამდვილი ცნობის წარმოდგენა პროცესზე, ვერც ერთმა პოლიციელთაგანმა, რომლებიც სამსახურს ასრულებდენ მკვლელობის უბანში ვერ შესძლეს კონკრეტიული ბრალდების დასაბუთება.

სამაგიეროდ დამცველმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მკვლელობის ჩადენის დროს საკარელოსი იმყოფებოდა არა ათინაში, არამედ ნირეში, მეორე ბრალდებული ფემაზოსი პროფესიით მეზღვაურია, ნირეში მოვიდა თავისი გემით მკვლელობის ჩადენის სამი დღით ადრე. ამრიგად ბრალდებულთა მონაწილეობის მიღება მკვლელობაში საბუთებით უარყოფილი იქნა.

მაშინ პროკურორმა მიმართა თავისებურ ხერხს განაჩენის გამოსატანად, მან ნაფიც სახალხო მსაჯულებისაგან განაჩენის გამოტანა მოითხოვა შემდეგი სიტყვებით: ბატონებო, ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენს წინ არის კომუნიზმი, გამოუტანეთ მას სასტიკი განაჩენი, ამას მოითხოვს სამშობლოს ინტერესებიო.

ფომაზისმა განაცხადა რომ ის დაპატიმრების დროს არ ყოფილა კომუნისტი, მაგრამ ბურჟუაზიულ სასამართლოს სიკოტრემ აიძულა ის გამხდარიყო პარტიის წევრი. მე არა ვარ დამნაშავე, სთქვა ბრალდებულმა, მკვლელობის ჩადენის საღამოს მე ვიყავი პირეში. ასე რომ მე სრულიად უდანაშაულო ვარ, არავითარი კავშირი არა მაქვს, ჩადენილ ბოროტებასთან.

საკარელოსმაც დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა და პროკურორის შეკითხვაზე განაცხადა, რომ ის ნამდვილად არის საბერძნეთის კომპარტიის წევრი.

ორივე ბრალდებულებს მიესაჯათ 15-15 წელი საკატორღო მუშაობა.

მათ ღია წერილით მიმართავს მუშებს, სადაც აწერილია მათი უდანაშაულობა და ფიცს სდებენ არ ულალატონ პროლეტარიატის საქმეს. გამოტანილ განაჩენს ისინი სთვლიან არა საბერძნეთის მუშათა კლასისადმი მიმართულ დარტყმად, რომელსაც აურაცხელი ჭრილობა მიაყენეს უკანასკნელ ხანებში, არამედ ის მაჩვენებელია ბურჟუაზიულ ხელისუფლებისა და მისი იუსტიციის საბოლო გაკოტრებისა. ისინი ამაყობენ მით, რომ განიცდიან საშინელ ტანჯვებს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ქ. ბ—ო.

მოგონებები

ამერიკა

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები დიდ პრეტენზიებს აცხადებს იმის შესახებ, რათა მან დაიმკვიდროს სახელი დემოკრატიული რესპუბლიკისა, სადაც მოქალაქეს ენიჭება უფლება თავისუფლად გამოსთქვას თავისი მრწამსი. მიუხედავად ამ დიდი და სრულიად დაუმსახურებელი პრეტენზიებისა ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებები ძირეულად ეწინააღმდეგება ამ „დემოკრატიულ პრინციპებს". ამ წერილის ავტორმა თვითონ გადაიტანა ყველა ის საშინელებანი, რომელიც აქ არის მოთხრობილი და რომლითაც ყოველთვის უმასპინძლდება ამერიკის ბურჟუაზიული ხელისუფლება თავის ქვეყნის შეგნებულ მუშათა კლასს, რომელიც იბრძვის უკეთესი მერმისისათვის.

1924 წ. აპრილში მე შევედი სამხედრო სამსახურში, იმავე წლის აგვისტოში მე გადამგზავნეს გავაის კუნძულებზე. ჩქარა, იქ ჩასვლის შემდეგ მე დავიწყე პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა ჯარის ნაწილებში, ამრიგად ჩვენ შევაკავშირეთ პატარა, მაგრამ მეტად აქტიური წრე.

პატიმართა დაკითხვა ამერიკაში

1924-25 წ. წ. შემოდგომაზე გავაის კუნძულებზე მოხდა თუთუნის პლანტაციებში მომუშავეთა გაფიცვები, რაც გამოიწვია სამუშაოს კატორღულმა, მძიმე პირობებმა ეს გაფიცვები ჩქარა ჩაქრეს ცეცხლითა და მახვილით შეტაკების დროს დაიღუპა 24 გაფიცული მუშა. აჯანყებულთა ხელმძღვანელი პაბლო მანლაპიტი შეიპყრეს და დიდი ხნით საპატიმროში მოათავსეს, ის მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გაანთავისუფლეს ტყვეობიდან.

1925 წ. თებერვალში ადგილობრივმა ბეჭდვითმა ორგანომ „გონონულუ ადვერტიაზენმა" გამოაქვეყნა გაფიცულთა დასაცავად მთელი სერია წერილებისა, სადაც ჰკიცხავდენ ხელისუფლების მეთოდებს. ეს წერილები ხელმოწერილი იყო ჩვენი ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (პ. კრაუჩეს, ვალტერ ტრომბლისა და როდერიკო ნადოს მიერ). ჩემი წერილის ქვემოდ აღნიშნული იყო ჩემი ხელის მოწერა, იმ პოლკის ჩვენებით საცა მე ვმსამურობდი.

თებერვლის 19 ჯარისკაცთა შორის ადგილი ჰქონდა დაპატიმრებებს, ნაწილი დაპატიმრებულთა ჩქარა გაანთავისუფლეს, მხოლოდ 15 კაცი დააკავეს დიდი ხნით.

დაპატიმრებულები ბრალდების უქონლობის გამო გაანთავისუფლეს, სამხედრო სასამართლოს წინაშე წარვსდექით მხოლოდ ვალტერ ტრომბლი და მე.

გასამართლებამდე ჩვენთვის არ წამოუყენებიათ საბრალმ. აქტი, შრომის დაცვის კომიტეტთან ჩვენ მოგვისპეს ყოველგვარი კავშირი, ამრიგად იძულებული გავხდით ჩვენს დამცველებათ მიგველო ოფიცრები, რომელთა მთელი „მოლვაწეობა" იქეთკენ იყო მიმართული, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ ბრალდებისათვის და ხელი შეეშალათ ჩვენთვის რევოლიუციონური კანონიერების თვალსაზრისით, როგორც ეს ჩვენ გვსურდა, გვეწარმოებია თავდაცვა.

როცა აპრილის პირველს მე ვალტერ ტრობლთან წარვსდექი სამხედრო სასამართლოს წინაშე ჩვენ წამოგვიყენეს ბრალდება, სადაც აღნიშნული იყო ხაზგასმით რომ ჩვენი მოქმედებები საფრთხეს უმზადებდა არსებულ წყობილებასა და სამხედრო დისციპლინას, მე ბრალდებად მიყენებდენ პოლიციის ფარულ აგენტის გადმობირების ცდას, რომელსაც თითქოს ვეუბნებოდი ჩაწერილიყო ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციაში. ამ უკანასკნელს განზრახული ჰქონია თითქოს კომინტერნში გაეგზავნა წერილი, რომელშიაც თავიდან ბოლომდე უნდა ყოფილიყო აღნიშნულ ჯარისკაცთა ორგანიზაციის მდგომარეობა და ის რევოლიუციონური განწყობილება რომელიც სუფევდა ამ ჯარისკაცთა ნაწილებში. ტრობლს ამავე დროს ბრალდებად უყენებდენ ამერიკის პრეზიდენტ კულიჯისადმი უპატივცემლობას.

სამხედრო სასამართლოს წინაშე, ოფიცერმა, რომელიც ჩვენ „გვიცავდა", შემდეგი განაცხადა: „მე მოვითხოვ ისეთ განაჩენის გამოტანას, რომელიც გახმაურდება ჯარის ყველა ნაწილებში და ჭკუას შეასწავლის ყველა წითლებსო". მაგრამ ისინი მოსტყუვდენ ანგარიშში, ეს განაჩენი გახმაურდა არა მარტო ჯარის ნაწილებში, არამედ ყველა მუშათა წრეებში, შრომის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვა მუშათა წრეების მიერ მოწყობილ გრანდიოზულ საპროტესტო დემონსტრაციებს შედეგად მოჰყვა ის, რომ ხელისუფლება იძულებული გა-

ხადა სასჯელი 3 წელზე შეემცირაბია, ამრიგად განაჩენი 40 და 26 წ. ციხე შეცვლილ იქნა 3 და 1 წ. ციხედ. იმ მწარე გაკვეთილებმა, რომელიც მე გამოვიარე ჩემი საქმეების გამო სამხედრო სასამართლოებსა და საპატიმროებში, უფრო ამიხილეს თვალები და აშკარა გახადეს ჩემთვის მმართველთა მთელი საზიზღროებანი, ციხის საშინელებანი, საცა ყოველი წამი მძიმე და დაუსრულებელია.

„ყველაზე უფრო მურდალი სამუშაო საუცხოვოა მათთვის"—ასეთი დირექტივები მისცეს საპატიმროს ზედამხედველს, როცა ჩვენ იქ მიგვიყვანეს. უწინარეს ყოვლისა მე წამართვეს პირსახოცი, საპარცი დანა და სავარცხალი. ნაავადმყოფარი, ძლივსლა ვდგებოდი ფეხზე მიუხედავად ამისა მაინც გამგზავნეს საუშაოზე. ბოლოს როცა დიდი წვალების შემდეგ გადამგზავნეს საავადმყოში ექიმება აღმომიჩინეს მუცლის წყლული, მორჩენამდე მე ისევ უკან გამომაბრუნეს სამუშაოზე, ამრიგად სანამ მე სრულიად არ გამანთავისუფლეს არ მიმიღია არავითარი საექიმო დახმარება.

პ ა ვ ე ლ კ რ ა უ ჩ

1925 წ. სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა 40 წ. ციხეში დაპატიმრება ჯარის ნაწილებში აგიტაციის წარმოების გამო. საერთაშორისო პროლ. მიერ მოწყობილი საპროტესტო დემონსტრაციების შემდეგ განაჩენი შეკვეცილი იქნა 3 წელზე.

გავაიის კუნძულებზე, ციხეში მე ვმუშაობდი, ფიზიკურად, 18 გირიანი წერაქვით ვამტვრევდი ქვას. ერთ ხელ მუშაობის დროს ქვის ნატეხით თავში დავიჭერი სამხედრო რეგლამენტის მიხედვით საექიმო დახმარება უნდა მიმეღო მეორე დღეს, მანამდის კი განუწყვეტლივ ვმუშაობდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დასუსტებული ვიყავი. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია აქ.

საპატიმრო ალკასტრას, სადაც მე გავატარე უმთავრესი დრო ჩემი პატიმრობისა, აშენებულია სან-ფრანციისკოს ყურეში, ერთერთ კუნძულზე, კალიფორნიაში, ეს ციხე ცნობილია „ყურე ფრისკოს ჯოჯოხეთურ კლდეთ", პირველად ამ ციხეში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფიზიკურად ტანჯვას. ჩემს იქ მისვლის წინა ხანებში მართალია ცემა-ტყეპა აეკრძალათ აქ მაგრამ, ძველი კომბლები, რითაც ადმინისტრაცია „საჭიროების" დროს უმასპინძლდებოდა პატიმრებს შენახული იყო აქ, ასე რომ ამით სარგებლობა მაინც არ იყო საბოლოოდ უარყოფილი. ოდნავი დანაშაულის ჩადენა საკმარისია, რომ ადმინისტრაციამ პატიმრის თავზე დაატრიალოს ეს ძველი, ნაცადი კომბლები.

ჩვენ ძლიერ ცუდად ვიკვებებოდით. ერთხელ მოიტანეს სრულიად დამპალი ხორცი, შვიდმა პატიმარმა უარი განაცხადეს საჭმლის მიღებაზე, რისთვისაც ისინი სასტიკად დაისაჯენ. ისინი მთელი სამი თვის განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ შეღავათს—თუთუნს ნათესავებთან ნახვას, ყოველგვარ ლიტერატურას გარდა ბიბლიისა, საპატიმროს ეზოში გასეირნებას კვირაობით ამასთანავე ერთად მათ აუკრძალეს ორ წერილზე მეტის გადაგზავნა ახლო ნათესავებთან.

ერთხელ, როცა ჩვენ მოგვიტანეს ძლიერ ცოტა საჭმელი, ორმა პატიმარმა მოითხოვა მომატება. ამის საპასუხოდ სერჟანტმა ბრძანება გასცა, იქვე „მიეწვინათ" ე. ი. დაეხვრიტათ ურჩები, მიუხედავად იმ მკაცრი ბრძანებისა ეს არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი. მათ სასტიკი სასჯელი მიიღეს ასეთ „ურჩობისათვის" და ციხეში მისჯილი ვადა 6 თვით გაუგრძელეს.

საპატიმროში ჩვენ ვისხედით პატარა, ბნელსა და ნესტიან სარდაფებში, რომლის მოცულობა უკრიდა—განით 5 ფუტს, ხოლო სიგრძით კი 8, სხვა მეზობელ პატიმრებთან, ყოველგვარი კავშირი აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა ციხეში ყოფნის დროს მე აქტიურ პროპაგანდას ვეწეოდი პატიმართა შორის. ჩემთან კარგ განწყობილებაში მყოფ პატიმრებს ადმინისტრაცია სასტიკად ეპყრობოდა, მათ გზავნიდენ მძიმე სამუშაოზე, ცალკე საკნებში და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამ მძიმე და აუტანელ პირობებისა ისინი მაგარი ნებისყოფისანი აღმოჩნდენ, ამრიგად კენჭის ყრის დროს 60 პატიმრიდან 37 ხმა მისცა ს. ს. რ. კავშირს, 23 კი მოიწონა ბურჟუაზიული მართლმსაჯულება და მისი წესწყობილება. ხელისუფლება კაპიტალისტურ წყობილების სასარგებლოდ ატარებდა აგიტაცია პროპაგანდას, ამას ისინი ახერხებდენ „განვითარება - განათლების" წრეების დახმარებით, სადაც სისტემატიურად სწარმოებდა მეცადინეობა, ამრიგად ჩვენთან პატიმრები ისმენდენ „უფლების" შესახებ ლექციებს და გადიოდენ მთელ კურსს, ჩვენ გვარწმუნებდენ, რომ ს. ს რესპუბლიკების კავშირში არ არსებობს სამართალი, თითქოს იქ ყველა გამვლელს შეუძლია დააპატიმროს ესა, თუ ის მოქალაქე და სასამართლოს განაჩენის გარეშე გაუმასპინძლდეს მას თავისი შეხედულებისამებრ.

უკანასკნელად უნდა განვაცხადო, რომ ალგატრასის საპატიმროსა და სხვა სამხედრო ციხეებში არსებული რეჟიმი, არის მთელ ამ მხარეში დამკვიდრებული მოუთმენელი და აუწერელი რეჟიმის ერთი ნაწილი, რომელიც ჯარისკაცებს ხდის მონად და უსიტყვოდ უმორჩილებს არსებულ წყობილებას.

პ. კრაუჩ

ფერდინანდ დიუფენ

თ ა ბ ი ლ ა

რ ო მ ა ნ ი

ნაწილი პირველი

I

ნიშნობა

სოფელ ტირილტის მახლობლად, გორაკის ფერდობზე გადაშლილან გურბები კეთილისმყოფელი მეზიანისა და ზანტად სთვლემენ თაკარა მზის მხურვალეებით დახშულ ჰაერში. მათი დაბალი და მიხაკისფერი სახურავები ოდნავ მოსჩანან გარშემორტყმულ ძეძვის ღობის სიმაღლიდან.

სადგომები აგებულია ურთხმელისა და ოლეანდრის ხისაგან, გამაგრებულია გრძელი ტოტებით და შეკრულია ბაწრებით.

იმ სახურავზე, რომელიც მარჯვნიდან მოსჩანს, მზის მცხუნარე სხივებზე იკრუნჩხება და ფრთებივით შრიალებენ ბურნუსის გაშლილი თეთრი კალთები; მარცხნიდან კი — ბანზე ყანჩა გაქვავებულა, ის სდგას ცალ ფეხზე და კისერი ფრანგული ასო S მსგავსად დინჯად მოუღერებია. მოშორებით, სიღრმეში, მესამე გურბის საკვამურიდან მაღლა მიწევს მსუბუქი ჰევლი რუხი ბოლისა და ზანტად იშლება ლურჯად გაფენილ სივრცეში.

მზემ უკვე განვლო ერთი მესამედი თავისი გზისა.

დადგა ჟამი მესამე ლოცვის — ელ ასერისა. ძეძვის ღობიდან, სადაც ტოტები მარჩხად გადაწნულია ერთიმეორეზე, მოსჩანს წაწვეტილი კალთებიანი გრძელი მოსასხამი, შემდეგ — სალუქი, მაგრამ სიამაყით სავსე სახე კეთილისმყოფელი მეზიანისა, რომელსაც ამშვენებს შეთეთრებული წვერი და გამჭრიახი გამოხედვა.

მაღალი და გამხდარი, გამოდის ის ღობიდან. მარცხენა ხელში უჭირავს ნახევრად დაკეცილი წითელი აბრეშუმის მანდილი, ხოლო მარჯვენათი კი მოაქვს კალის თუნგი, რომელიც მას სამსახურს უწევს განბანის დროს.

ნელი ნაბიჯებით ის მიემართება მომაღლო ადგილისაკენ, რომელიც მკაფიოდ გამოეყოფა შეურხევლად დაშვებულ ჰაერს, მისი სახლიდან ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე.

ის ჩერდება დიდი ხის ჩრდილში, ფრთხილად უშვებს მიწაზე თავის თუნგს, ჯდება ზურგით მზისაკენ, წინ კი — მარჯვენა მხარეზე დაიწყო წითელი ტყავის სანდლები მიხაკისფერი ზონარებით.

ის გულმოდგინეთ იბანს ფეხებსა და ხელ-პირს. შემდეგ დგება, ხელის გულს შლის მხრების თანაბრად, იწყებს ნელა და ერთნაირად ჩურჩულს:

> დიდება ყოვლად ძლიერსა და ქვეყნის მპყრობელს!
> კეთილ-მოწლეობაა მისი სამთავრო!
> ის მეფეა საშინელი განსჯისა!

საღმთო ლექსების ნელი და ვედრებით სავსე რიტმი იფანტება ირგვლივ ლურჯად დაფენილ ბინდის წიაღში.

> შენ გადიდებთ დიდო ალაჰო!
> შენ მოგმართავთ ლოცვითა და ვედრებით!
> წაგვმართე ჩვენ განრინების გზით!

მაღალი და სწორად ამართული მეზიანი თავის ლურჯ ზოლებიან, თეთრ აბრეშუმის მოსასხამში განაგრძობს ფატიხს; ის უძრავად სდგას, მხოლოდ თეთრი წვერი ეფინება მკერდზე ლოცვის დროს. მისი თვალთა ხედვა იკარგება სადღაც, უსაზღვრო სიმწვანეში, რომელიც დაფენილია აღმოსავლეთის მთების იქეთა მხარეში.

უკანასკნელად შეეხო ის შუბლით მიწას, შემდეგ ისევ გასწორდა და უსიტყვოდ მოიკეცა. რამდენინე წუთში ის ისევ აივსო ფიქრით. ის ეხლა გონებით დაჰქრის სამოთხის ტურფა ბაღნარში, სადაც მუდმივად სისინებს საამური ნელი ნიავი, მწვანით დაყურულ ხეივნებში.

დაბლობისაკენ მიმავალი კაბილები ნიშნად პატივისცემისა მორჩილებით თაყვანსა სცემენ ღრმა ფიქრებში ჩაძირულს მეზიანს. ისინი მიემართებიან ჯგუფ-ჯგუფად, ჩუმი საუბრით, ნელი ტაატით მიჰყვებიან ერთი-მეორეს და შიშველ ფეხებს ფრთხილად მიაბიჯებენ ქვებით მოკირწყლულ ბილიკებზე.

* * *

ბილიკი მიემართება ქვემოდ და გველივით მიიკლაკნება ბუჩქებსა და კევის ხეებს შორის. მიმავალი კაბილები თანისთან იჭრებიან ამწვანებულ გარემოს წიაღში, მათ სილუეტებს ჰფარავს ხეთა დაყურული რტოები. ეხლა მოსჩანან მხოლოდ თოვლივით თეთრი წვერები და წითელ ნაჭრებით წაკრული თავები. ისინი ისევ ჯგუფად მიემართებიან, ნელი ტაატით მიირწევიან და ნელი ხმით ფეხის ხმას აყოლებენ მთიელთა ტკბილ სიმღერას:

> ქალმა კაბილების ტომისამ,
> შავ თვალ-წარბებიანმა,
> აინ კერმის წყაროში —
> ჩაუშვა თვისი დოქები.
> მღერის წვეთი წყალისა
> და ივსება დოქები,
> თუ კი ბრძანებს ალაჰი...
> მის გარეშე აღარ არის სხვა ღმერთი....

უეცრად შეწყდა სიმღერა. ბუჩქებიდან ანაზდად გამოჩნდა მიხაკისფერი ზონარით მოჩითული ტიურბანი და ცხენის გაწეწილი ფაფარი. მათრახის ძლიერი დარტყმით დაფეთებული ცხენი, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრეფდა და გარბოდა ჭაობიდან მაღლა კლდეზე გასწრაფული ვიწ-

რო ბილიკით. ბოლოს მკაფიოდ გამოჩნდა ცხენის საბერ-ველივით მქშინავი ნესტოები და მამაცი მხედრის თავი. კაბილები სწრაფლ შეჩერდენ და ბილიკის გასწვრივ ჩამწკრივდენ.

უცნობი ბრგე, მკვირცხლი და ლამაზი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. მისი ბურნუსი და განდურა თოვლივით თეთრია.

ფეხზე წითელი ტემაგები აცვია. მისი ცხენის უნაგირი მოვარაყებულია ოქროს არშიით. ჯგუფად ჩაძწკრივებულ კაბილებიდან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მან მკვირცხლად შეაყენა ცხენი და დარბაისლურის სიდინჯით მკერდზე მიიდო მარჯვენა ხელი:

— სალამი ძმებო! მე მგზავრი გახლავართ შორეული მხრიდან მომავალი, ვშიშობ დავიბნე უცხო მხარეში. მე ვეძებ ბაქირის შვილის — მეზიანის სასახლეს. იქნებ მიმასწავლოთ ძმებო, თუ ეს სურს ყოვლად შემძლე ალაჰს.

— სალამი უცხო მიწის შვილო! — ერთხმად უპასუხებენ კაბილები. — მეზიანის სასახლე თქვენს წინ არის, ამ ბილიკის ბოლოში.

კაბილებმა ბუჩქებისაკენ მიიწიეს, უცხოელს გზა დაუთმეს, მხოლოდ ერთი მათგანი არ დაძრულა ადგილიდან, მან ცნობისმოყვარე თვალები მიაპყრო მხედარს.

— ვინ არის ის, — დაიწყო მან ნელის ხმით, — ვინც შორეული მიწიდან სტუმრად მოსულა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მას არ ვიცნობთ, ასე თამამად ლაპარაკობს ჩვენს დუარის ენაზე?

მხედარმა გაიღიმა და თავი ჩაჰკიდა.

— ო, მახვილგონებიანო და შორსმჭვრეტელო მოხუცო, მე დავაკმაყოფილებ თქვენს კანონიერ ცნობისმოყვარეობას: ოცდახუთი წლის წინად მე დავიბადე ამ მთებში; აქ გავატარე ჩემი ტკბილი ბავშობა, თხუთმეტ წელზე მეტია, რაც მე დავტოვე ეს მხარე. დღეს კი ისევ უკან ვბრუნდები, როგორც ყანჩა უბრუნდება ხოლმე სამშობლო გურბებს ახალი ბუდის აშენების მოახლოების ჟამს.

* * *

— მშვიდობა თქვენდა, მამაო ჩემო! მე აკლი ვარ, შვილი სი-მაზურა ტალებასი.

— მშვიდობა შენ, შვილო ჩემო!

მეზიანმა ხელის გაქნევით ანიშნა აკლის დამჯდარიყო მის პირდაპირ, ხის ძირას.

— თუ თქვენ ალაჰმა წარმოგგზავნათ ჩემთან თხოვნით, მე შეववედრი მის ძლიერებას, შემაძლებინოს მისი ასრულება! დიდება მის სახელს!

აკლიმ მხრებზე ჯვარედინად გადაიგდო წითელი ტემაგები, მუხლებთან გაისწორა თეთრი განდურები, ხელები გვერდებზე შემოიჭდო და დაიწყო:

— ღირსეულო, სამართლიანო და პატივცემულო წარჩინებულთა შორის, უწინარეს ყოვლისა, მე მსურს თქვენ გაიგოთ, თუ ჯერ არ უწყით, რომ მამიჩემის გარდაცვალების შემდეგ, მე სრულიად ახალგაზრდა და ერთადერთი მამაკაცი დავრჩი მთელს ოჯახში. მიუხედავად ამისა, ალაჰის წყალობით, ჩემი საქმეები იმდენად სასურველად მიმდინარეობდენ, რომ დღეს მე სრულიად უზრუნველყოფილი ვარ. ღირსეული გამოსასყიდით გავათხოვე ჩემი ორი და, ეხლა კი მე თითონ ვფიქრობ საკუთარ ჭერქვეშ შემოვიყვანო ცოლი და შევქმნა ოჯახი.

აკლი რამდენიმე წუთით შესდგა. მეზიანი შესცქერის მას, როგორც გაშეშებული, უძრავად, უსიტყვოდ. ახალგაზრდა კაცი განაგრძობს:

— მე სტუმრად ვეახლე თქვენს სიძეს, მუსტაფას, ჩვენ ერთი ტომისანი ვართ... მე ვნახე მისი ცოლი... თუ კი თქვენი მეორე ქალი სახით ოდნავ მაინც ემსგავსება მას, მე მზადა ვარ ცოლად ავიყვანო იგი, თუ, რასაკვირველია, ამას მოისურვებს ყოვლად შემძლე ალაჰი და თქვენი სურვილიც ხელს შეუწყობს ჩემს განზრახვას.

მეზიანმა უეცრივ გადახედა აკლის. ნელა გადაისვა მოშავო-ჟანგისფერი ხელი წვერზე, შემდეგ პირი იბრუნა გურბებისაკენ და გარეწარი ხმით დაიძახა:

— ჰეი, თამილა!

* * *

მეოთხედი წუთის განმავლობაში, ღობის გასწვრივ, ბოძთან გამოჩნდა უმშვენიერესი ასულის მომღიმარი პირისახე, შემდეგ შემკრთალი უმალვე მიეფარა და რამდენიმე წამში კვლავ გამოჩნდა, საკმაოდ აცელქებული, მაგრამ შედარებით ზომიერად თავდაჭერილი.

— ო, ქალო ჩემო, — მიმართავს მეზიანი, — ჩვენ გვწყურია, მოგვიტანე ერთი ქილა ცივი მაწონი.

კიდევ წუთი და — გამჭვირვალე ჰაერში უკვე მთელი სიმაღლით გამოჩნდა თამილა, კდემამოსილი და სანდომიანი ასული მეზიანისა. მას ტანთ აცვია ვიწრო, მტრედისფერი განდურები, ლამაზსა და მეტის-მეტად წვრილ კოჭებს უმშვენებს სპილენძის მძიმე რგოლები, ხოლო შიშველ ფეხზე კი აცვია ბაწრით მოქსოვილი სანდლები.

თამილა მოემართება ზეთისხილის ხის ჩრდილისაკენ უჩინრად, ცერბით და უახლოვდება იქ მსხდომთ — მამასა და უცნობ ჭაბუკს. აი ის უკვე სრულიად მიახლოვდა. თავი ძირს ჩაჰკიდა, ფრთხილად, მოკრძალებით მიწაზე დაუშვა მაწვნით სავსე ქილა და ისევ თავაუღებლივ ადგა და ნელის ნაბიჯით უკანვე გასწია გურბებისაკენ.

აკლი თვალს არ აშორებს მიმავალ თამილას. შვილდივით მოხრილ გრძელს წამწამთა ქვემოდ აკლიმ შენიშმა ცეცხლებრ მწველი თვალები. სანდოიმან მრგვალ პირისახეზე მან შეამჩნია პატარა, ლამაზი და ვნებით ამეტყველებული ტუჩები. აკლი თვალებით ელოლიავება მის, ქარვისფერ, მკვრივ ხელებს, მტრედისფერ განდურაში გამოხვეულს ღვედივით მოქნილ წელს და სპილენძის რგოლებით დამძიმებულ ბავშურ პატარა ფეხებს.

* * *

მეზიანი უმზერს აკლის.

ბოლოს უკანასკნელმა პირი იბრუნა მოხუცისაკენ.

— ო, მამაო ჩემო! რამდენი გსურს შენ მიიღო ჩემგან თამილას გამოსასყიდი?

მეზიანმა კვლავ მოისვა გაშავებული ხელები გრძელ წვერზე.

— შვილო ჩემო, მუსტაფამ უფროს ქალის, კამირას, გამოსასყიდი გადაიხადა ასოცი დუროსო.

აკლიმ უმალვე შეჰკრა წარბები:

— მე კი ასათი მეგონა!

მეზიანს საშუალებას არ აძლევს უეცრად ავარდნილი ხველება, რომ პასუხი გასცეს ჭაბუკს.

— ასოცი, ჩემო ბავშო!.. მომატებაც იყო, რომელიც პირობაში არა გვქონია გათვალისწინებული. შესაძლოა მუსტაფას დაავიწყდა ეს წვრილმანი და უნებლიედ იცრუა თქვენთან.

აკლი ოდნავ იღიმება:

— ეგრე იყოს: ასოცი დუროსო... სთქვი, რამდენს ითხოვ მეორე ქალში?

მოხუცი იცინის და თავს აქნევს ორჭოფულად.

— ო, შვილო სი-მაზურა ტალებასი, შენ გსურს შეურაცხყო საკუთარი თავი? როგორ? შენ თითონ ნახე ორივე ჩემი ქალები და მეორე პირველზე უფრო ვეღარ შეაფასე? ვფიცავ ყოვლად მოწყალე ალაჰს შენ ვერ არჩევ ერთიმეორისაგან კრავსა და ქურციკს.

აკლი გულკეთილის ცნობისმოყვარეობით შესცქერის მეზიანს.

— მართალი უნდა გითხრათ, ჩემო მოხუცო, რომ მე უეცრად, ისე, წუთით ვნახე შენი უფროსი ქალი... მე მაინც გამჭრიახი თვალები მაქვს...

მეზიანი აწყვეტინებს:

— ვფიცავ ალაჰს, შენ გეტყობა, რომ გულთმისანი და დარბაისელი სი-მაზურას შვილი ხარ... შენ თითონ ამბობ, რომ მისი პირისახე ნახე ისე, უეცრივ, წუთით!.. მარტო სახე!.. მეტი არაფერი!.. მაგრამ პირისახე ხომ ყველაფერი არ არის?!. საინტერესოა, რამდენად შეაფასებდი შენ უმშვენიერეს ასულის თავს სარზე წამოცუმლს? შვილო ჩემო, საჭიროა დანარჩენსაც გაეწიოს ანგარიში... შენ ეს კარგად იცი... ვინაიდან, ჭეშმარიტად უნდა ითქვას, რომ შენ მეტის-მეტად შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი ხარ... და, აი, ეხლა, როცა ჩემი უნცროსი ქალი ბრუნდებოდა...

მეზიანი არ ამთავრებს დაწყებულ წინადადებას, მქირდავი თვალებით მიაჩერდება ახალგაზრდა კაცს და უცდის, თითქოს მისი თვალებიდან, რაღაც საიდუმლოება უნდა ამოიკითხოსო... რამდენსამე წუთის განმავლობაში სდუმდა აკლიც... შემდეგ ის ვეღარ ითმენს და გულიანად გადაიხითხითებს...

— დარბაისელო მეზიანო, დიდება ალაჰს, რომელმაც სხვა მრავალ ღირსებებთან ერთად შენ მოგანიჭა ესოდენი სიბრძნე ვაჭრულ საქმეებში... ცხადია, შენთან პურის მარცვალსაც ვერ შეიძენს კაცი, ბაზრის ფასებზე დაკლებით.

მეგრძოლთა მიმართ!

ასწიეთ დროშა, გაიშალოს ბრძოლის წყურვილი,
ფოლადის მკერდებს შეუდრეკელს ვერვინ მოლუნავს
დე, ჩამოინგრეს ცა პირქუშად ჩამობურვილი.

ქვეყანა ძველი, ავსებული მშიერ მონებით,
უნდა შესცვალოს სამუდამოდ მზიურ კომუნამ,
სად შრომის ჰიმნებს იმღერიან მილიონები.

სალამი ყველას, ვინც სიმართლის უდიდეს რწმენას
და ძმობის დროშას სიყვარულით ეამბორება,
ვინც რომ ბრძოლაში განიცდიდეს თვის აღმაფრენას.

სალამი ძლიერს და ქედმაღალ პროლეტარიატს,
რომ აცვენს ხალისს ანთებული მეტეორებად
და ბრძოლისაკენ აღტაცებით მიუხარია.

დიდება ხსოვნას, ვინც დაეცეს ველზე გმირულად
და მომავალზე ღრმა გრძნობებით შეყვარებულმა —
უკანასკნელად ხალხს ესროლოს ხმა განწირული.

არნო ოგელი.

ზუგდიდის რემედასის მესამე სამაზრო კონფერენციის დელეგატები.

მოხუცმა ოდნავ მილულა თვალები, ტუჩებზე იკბინა და თითქოს მღერისო, — დაიწყო მან:

— ყოველ ადამიანს საკუთარი საქმეები მიჰყავს თავისი სურვილისამებრ: „საკუთარ ფრჩხილებს არაფერი სჯობია ქავილის დროს“!

ისევ მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრივ აკლის დაეუფლა სიდარბაისლე., ის ამბობს:

— დამისახელე მე პირდაპირი ფასი, რომელსაც აცხადებ მოხუცო.

მეზიანმა მიიღო ორჭოფული და გამოუცნობი სახის გამომეტყველება.

— მე მირჩევნია საქმე არ ვაწარმოო მოვაჭრე ხალხთან, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დაატანა მეზიანმა.

— განა მე გევაჭრეთ?

— გტეყობა, ეგრე გსურს მოიქცე!

დაასახელე შენი ფასი, დარბაისელო მოხუცო. შემდეგ ვნახოთ!

მეზიანი თვალებში მისჩერებია ჭაბუკს და აცხადებს:

— ორასი დუროსო!

აკლი ოდნავ ფითრდება.

— მამაო ჩემო, რაკი თქვენ გადაგიწყვეტიათ, რომ საქმე არ აწარმოოთ მოვაჭრე ხალხთან, ამიტომ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე არ შეგაწუხებთ, დე, თქვენმა საქმეებმა იწარმოონ უჩემოდ!

ის დგება... მეზიანი განდურის ჯიბიდან იღებს ჩუქურთმებით მოვარაყებულ სათუთუნეს, ხელის გულზე იყრის თუთუნს, სრესს მას და თვალს არიდებს მისკენ გამოსამშვიდობებლად გამოწვდილს ჭაბუკის ხელს... ამ დროს მეზიანი უბრალო შენიშვნის კილოთი ამბობს:

— ორასი დურო... თავისთავად ცხადია, აქედან ირიცხება მეოცედი ნაწილი, როგორც ეს აქ მიღებულია ხოლმე საერთოდ ვაჭრულ საქმეებში... ე. ი. დარჩა წმინდათ ასოთხმოცდაათი დურო.

— კარგი, — უპასუხებს აკლი, — არც მე დაგიწყებთ ვაჭრობას და ჩემის მხრივ თამილაში გაძლევთ ასორმოც დუროს.

წუთის შემდეგ....

— მე გითხარი შენ: ასოთხმოცი, — უბრალოდ, სხვათა შორის უპასუხა მეზიანმა.

— იყოს ასორმოცდახუთი... ესეც დიდია, მერწმუნეთ!

— არავითარ შემთხვევაში... უკანასკნელი ფასი იქნება ასსამოცდათხუთმეტი.

აკლი უკმაყოფილოდ აქნევს თავს, ნელინელ იწევს კეთილის ხის ტოტზე ალვირით მიბმულ ულაყისაკენ.

— ვფიცავ ალაჰს! — წამოიძახა მეზიანმა, — დე, ასსამოცდაათი იყოს, მხოლოდ ნაკლებად კი არ შემიძლია... ესეც მამიშენის ხსოვნის აღსანიშნავად, მხოლოდ და მხოლოდ მის საპატივცემულოდ...

ახალგაზრდა კაცი ისევ ჩამოჯდა. ის უსიტყვოდ აწვდის პაპიროსს მეზიანს. ორივენი სწევენ თუთუნს და პირისპირ შესცქერიან ერთი-მეორეს. შემდეგ ვაჭრობა ისევ განახლდა და სწარმოებს ის სერიოზულად, გამოანგარიშებით, უჩინრად: ისინი ურთერთისაკენ გადაიხრებიან...

პატიმარ ქალის სიმღერა

(ბულგარეთის ციხეში)

რკინის ფანჯრიდან ვუცქერ სხვა მხარეს,
ციხის გარშემო ყვავ-ყორნებია —
და გული ჩემი ბრძოლით მქუხარებს
ამიტომ უფრო იკორტნებიან.

ჩვენ გვენატრება საკუთარ ჩრდილიც,
მაგრამ ჩვენ არ გვსურს მტერთან ვედრება.
ვაი კი იმათ ვინც კი მოხრილა —
ლოდ ქვეშ ამოსულ ყვავილს ედრება!

იცით კომუნარ ტუსაღის გულზე
რამდენ ქარიშხალს გადაუვლია?
ბევრჯერ მოქნეულ ხმალსაც კი უძლებს
და გული ცეცხლებრ ანთებულია.

ხმალზე ბასრია ჩვენი იმედიც,
მტარვალს განწირულს ვიღა მოარჩენს?! —
ჩქარა გავანგრევთ ფოლადის მკერდით
დახურულ კარებს, რკინის მოაჯირს.

ჩაგრული ხალხი ისევ ადგება,
ზღვა სიხარული გულებს მოიცავს;
მშრომელი შრომას დაუბრუნდება,
დღე სიყვარულის ყვავილს მოისხამს.

გედეონ გუგუნავა

ნახევარ საათის შემდეგ მხარეები შეთანხმდენ: თამილა გაიყიდა ასორმოცდაათ დუროთ.

* * *

თამილას ეჭვიც არ აუღია. ის ვერაფერს ვერ გაიგებს დღეს საღამოს, ვინაიდან მამა დღეს გააცილებს აკლის მათი საერთო მეგობრის სახლამდე. ის ვერც ხვალ გაიგებს რასმე, ვინაიდან მისმა საქმრომ და მამამ უნდა შეჰყაროონ ჯემაი — საბჭო დუარისა, საქორწინო პირობის შესადგენად; და თუ მამას დაავიწყდა, რაც ჩვეულებრივად ხშირად ხდება ხოლმე, ის ვერც მახლობელ დღეებში გაიგებს რასმე.

მართლაც გადის რამდენიმე დღე. მეზიანი ჭამს, სვამს, ისვენებს, კითხულობს ყურანს, მიემართება მაღლა სოფელში, ჩადის ძირსაც — მდინარის პირად, ყოველთვის და ყველაფერში ჩვეულებრივად, დინჯი, წყნარი, დარბაისელი.

ბოლოს, ერთი კვირის შემდეგ, საღამოთი ის ეუბნება ცოლს:

— მე გავყიდე შენი ქალი. შენ უნდა დაუმზადო მას მზითევი.

თამილა კუთხეში ზის, მას ყველაფერი ესმის. თავს მაღლა სწევს. მეზიანი მშვიდათ სრესს თუთუნს მოჩუქურთმებულ სათუთუნეში.

ბავშის უმშვენიერესი თავი ნელინელ ძირს დაიხარა. მამამ ის გაათხოვა. ის ბატონია ოჯახში. თამილა გაიგებს ქმრის სახელს მხოლოდ მაშინ, როცა მეზიანი ინებებს მის დასახელებას.

(გაგრძელება იქნება)

თარგმ. პოლიო აბრამიასი

მაისოგა საზღვარგარეთ

საზღვარგარეთელმა პროლეტარიატმა მხოლოდ ხანგრძლივი და დაუღალავი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა უფლება პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარებისა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

მხოლოდ ომის შემდეგ, როცა ძლიერმა რევოლიუციონურმა ნიაღვარმა წალეკა მეფეები, როცა მთელი კაპიტალისტური სამყარო საგრძნობლად შეირყა, შეშინებული ბურჟუაზია იძულებული გახდა ოდნავი დათმობებზე წასულიყო რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაშე. ერთ-ერთ ასეთ დათმობათ შეიძლება ჩაითვალოს ბურჟუაზიის მიერ პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარების ცნობა.

მაგრამ საერთაშორისო ბურჟუაზიამ მისი ერთგული ლაქაის, სოციალ-დემოკრატიის დახმარებით შესძლო თავი დაეღწია ამ შინისაგან და რევოლიუციონურ მოძრაობისაგან გამოწვეულ საფრთხეებისაგან, რომელიც საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა მას. ის ისევ იარაღს ისხამდა და შეუდგა შეტევას პროლეტარიატის ბანაკისაკენ. პირველ მაისის დღესასწაულის წინააღმდეგ კვლავ დაიწყეს გაცხარებული კამპანიის წარმოება.

ბევრ ქვეყნებში დღეს სრულიად აკრძალულია საპირველმაისო დღესასწაული, ბევრგან კიდევ პოლიცია და ჯაშუშები ათასგვარ პროვოკაციას აწყობენ ამ დღესასწაულის გარშემო. განუზომელია ის მსხვერპლი, რომელსაც ამ დღესასწაულის ჩატარებით სწირავს საერთაშორისო პროლეტარიატი, ამის საილუსტრაციოდ ჩვენ აქვე მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომელსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში 1927 წლის განმავლობაში:

ბულგარეთი:

ქუჩებში აკრძალეს ყოველგვარი დემონსტრაციები და შეკრება. ჯგუფი მუშებისა, რომლებიც ცდილობდენ პროფკავშირთა სახახლეში წითელი დროშის გადატანას, გზაზე დარბეული იქნა პოლიციელების მიერ. ბოლოს გამოირკვა, რომ ბევრი მათგანი დაუპატიმრებიათ, დაუპატიმრებიათ ამავე დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი 50 კაცი და დროშა წაურთმევიათ პოლიციის აგენტებს.

ვენგრია:

პირველ მაისის დღესასწაულის წინა დღით, ე. ი. 30 აპრილს დააპატიმრეს 40 მუშა და მუშა-ქალი. პირველ მაისისათვის აკრძალეს კრებები, დემონსტრაციები და ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად გამოჩენა. პირველ მაისს ბუდაპეშტის ქუჩებს იცავდა თავით-ფეხებამდე შეიარაღებული პოლიცია და ჯაშუშთა ბანდები. ბევრი მუშები დააპატიმრეს.

იტალია:

საპირველმაისო მოწოდებების გამოქვეყნებისათვის ფლორენციაში ბევრი მუშები დააპატიმრეს და ჩაჰყარეს ციხეში. დღესასწაულის ჩატარება კი სრულიად აკრძალეს. ბევრ ადგილებში მუშებმა ფარულად ჩამოჰკიდეს წითელი დროშები ისეთ მაღლობებზე, რომ პოლიციამ ველარ შესძლო მისი დროზე ჩამოხსნა. პოლიციამ დახმარებისათვის მიმართა ცეცხლის მქრობელთა რაზმს. „იტალიაში ყველაფერი რიგზე ჩატარდაო", იტყობინებოდენ ფაშისტების ოფიციალური გაზეთები.

ჩეხოსლოვაკია:

პირველ მაისის დღესასწაულის წინა დღეებში ხელისუფლების მიერ ჩატარებული იქნა მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები. მთელ რიგ გაზეთებს კონფისკაცია გაუკეთეს კომპარტიის საპირველმაისო მოწოდებათა გამოქვეყნების გამო. ასეთივე ბედი ეწია სამაისოდ დამზადებულ პლაკატებს. პრაღაში დემონსტრაციის დროს პოლიციამ კონფისკაცია უყო დროშებსა და დააპატიმრეს მრავალრიცხოვანი დემონსტრაციის მონაწილენი, მათ შორის დაპატიმრებულია კომუნისტური გაზეთ „რ უ დ ე პ რ ა ვ ო"-ს რედაქტორი. ხუსტეში ჟანდარმერია თავს დაესხა გლეხთა დემონსტრაციას, სადაც მათ დაატრიალეს ცივი და ცხელი იარაღები. დემონსტრაციის ბევრი მონაწილენი დააპატიმრეს, მათ შორის 3 მძიმედ დაჭრილია. პარლამენტის კომუნისტური დეპუტატი სედორია მძიმედ დაჭრილია.

გერმანეთი:

საპირველმაისო დღესასწაული და კომპარტიის კრება აკრძალეს ქ. მიუნჰენში. სოციალ-დემოკრატებმა უარი განაცხადეს კომუნისტებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებაზე და მათ მიუსიეს პოლიციელები. ფრანკფურტში პოლიციამ ძალით, იარაღით გაფანტა დემონსტრაციის მონაწილენი. ნიურენბერგში პოლიცია იარაღით თავს დაესხა დემონსტრანტებს, სადაც ადგილი ჰქონდა სისხლიან შეტაკებებს. ამრიგად ბევრ ადგილებში აკრძალული იყო დემონსტრაცია და კომპარტიის წარმომადგენლების მიერ სიტყვით გამოსვლა მიტინგებზე.

აკრძალული იყო რევოლიუციონური სიმღერები, პლაკატების ტარება და დროშების გამოტანა ქუჩებში, განსაკუთრებით წითელი ვარსკვლავიანი დროშებით გამოსვლა. ამავე დროს პოლიციელები განუკითხავად თავს ესხმოდენ და არბევდენ დემონსტრანტებს გერმანიის სხვა ქალაქებშიაც, გარდა ამისა ყველგან ჩატარებულ იქნა მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები.

საფრანგეთი:

პირველ მაისს დააპატიმრეს მუშათა კლასის ცნობილი ბელადი რევოლიუციონურ პროფკავშირების მდივანი ამხ. მონმუსო. პირველ მაისს მარტო პარიზში დააპატიმრეს 17 კაცი.

ჩ. ა. შ. შტატები:

პირველ მაისის დღესასწაულის წინა დღეებში მთელს ამერიკას „დემოკრატიულ" რესპუბლიკაში ჩატარებულ იქნა კომპარტიის უდიდესი გაჩხრეკები. 1 მაისს ნიუ-იორკი პოლიციელთა განკარგულებაში იყო. ტყვიამფრქვეველები, ყუმბარები და სხვ. საომარი იარაღები მზად იყო.

ლოს-ანჟელოსში საპირველმაისო დემონსტრაციას თავს დაესხა პოლიციელთა ხროვა, დაპატიმრებულია 28 კაცი.

საგაზეთო ფელეტონებში აკრძალული იყო ჩამოთვლა ყველა იმ ბოროტებათა, რასაც სჩადიოდენ პოლიციელები და ფაშისტური ნაძირალები.

ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად ასეთი მკაცრი რეპრესიებისა ამერიკისა და სხვა ქვეყნების პროლეტარიატმა მაინც შესძლო დიდის ზეიმით აღენიშნა საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნების გამომსახველი დღესასწაული — პირველი მაისი.

ფ. რ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინდოეთში

ჩვენ ეხლა სრულიად ახალი პერიოდის დასაწყისთან ვართ, რომელშიაც შედის ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობას ახლავს სამი ისეთი უჩვეულო თვისება, რომელიც მას სავსებით განასხვავებს საერთაშორისო ომის დასრულების პირველი 2—3 წლებისაგან (1919 — 21 წ.წ.).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც აერთიანებენ ყველა ბურჟუაზიულ ფენათა ეროვნულ მისწრაფებას, შესამჩნევად იხრებიან მარცხნივ. ამის საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ, საყოველთაოდ მოწონებული რეზოლიუციის დამტკიცება, სადაც „ცხადდება სრუ-

ლი ეროვნული" დამოუკიდებლობა, როგორც მიზანი ნაციონალური მოძრაობისა. ეს მოხდა ინდოეთის ნაციონალურ კონგრესზე, დეკემბერში, — ეს კონგრესი წარმოადგენს ფაქტიურად, უმთავრეს ბურჟუაზიულ პარტიების გაერთიანებას.

სრული დამოუკიდებლობის შესახებ რეზოლიუცია მიღებულ იქნა მაშინ, როცა ბურჟუაზიული პარტიების ბელადები ერთგვარ უმედობამ და სასოწარკვეთამ მოიცვა, რომელსაც ხელი შეუწყო ინდოეთის საკონსტიტუციო რეფორმის გამტარებლად საიმონის კომისიის დანიშვნამ.

აღნიშნულ რეზოლიუციის მიღებით მათ გამოაცხადეს თავიანთი პოლიტიკის გაკოტრება, რომელიც აშკარა გახდა რევოლუციონურ მოძრაობის დარბევის პირველ დღეებიდან. დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმი არავითარ დათმობებზე არ მიდიოდა, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ინდოეთის ბურჟუაზიის ოპოზიციაში მოქცევას ინგლისის მიმართ. პირველ და გადამწყვეტ ნაბიჯად შეიძლება ამ შემთხვევაში ჩავთვალოთ საიმონის კომისიისადმი ბოიკოტის გამოცხადება. ბოიკოტის გამოცხადებამ მთელს ინდოეთში უჩვეულო თანაგრძნობა გამოიწვია. კომისიის ჩამოსვლის პირველ დღესვე ინდოეთის ყველა სამრეწველო ცენტრებში მუშაობა შეწყდა და მოეწყო ყველგან მასიური საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები.

1. (მაღლა) საიმონის კომისიის წევრები; 2. (ქვემოთ) ინდოეთში საიმონის კომისიის ჩამოსვლის გამო მოწყობილი მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია.

ბურჟუაზიულ ნაციონალისტების მიერ ბრიტანეთის მთავრობის მიმართ ფრონტის გამოცვლამ თავისი აშკარა გამოხატულება ჰპოვა დელიში — საკანონმდებლო ყრილობაზე. ბურჟუაზიულმა პარტიებმა აქ სრულიად გარკვეული პოზიცია დაიჭირეს, რასაც გაზეთი „ტაიმსი" ახასიათებს, როგორც აშკარა რევოლიუციონურ მოძრაობას. ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო დადგენილება, რომ მას არ სურს ჰქონდეს რაიმე საერთო საიმონის კომისიასთან. უმთავრეს ბურჟუაზიულ პარტიის სვარაჯისტების — ბელადმა ყრილობის წინაშე პირველად წამოაყენა მოთხოვნილება ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის შესახებ.

ასეთი მოთხოვნილების წამოყენება ბრიტანეთის იმპერიალიზმისადმი ლახვარის ჩაცემას უდრის. თუმცა ეს მოთხოვნილება წამოაყენეს ბურჟუაზიულმა პარტიებმა, მაგრამ მას მხარი დაუჭირა ყველგან მოსახლეობამ, რაც საბოლოო ანგარიშში რევოლიუციონურ მოძრაობას უდრის საპროტესტო დემონსტრაციებით.

დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებენ წვრილი ბურჟუაზიული მასები და ინტელიგენცია, გამოსვლებს დროს ბრიტანეთის იმპერიალიზმის შეიარაღებულ ძალებთან სისხლიან შეტაკებასაც ჰქონდა ადგილი. მეორეს მხრით აღსანიშნავია ისიც, რომ ანტიმილიტარისტულ ფრონტზე გამოჩნდა დამოუკიდებელი სოციალური ძალა, პროლეტარიატისა და გლეხკაცობის სახით, რომლებიც მოქმედებენ თავისი პოლიტიკურ პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. ბომბეიში მოეწყო სამრეწველო მუშათა უდიდესი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 30.0000 კაცი. დემონსტრაცია მიდიოდა შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს ბრიტანეთის იმპერიალიზმი„! „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და რვა საათის სამუშაო დღეს"! მას ხელმძღვანელობდენ მუშათა და გლეხთა პარტიები.

საიმონის კომისია

აქედან გამომდინარეობს მესამე დამახასიათებელი თვისება, — თეთრი ტერორის გაძლიერება, რევოლიუციონურ მოძრაობასთან ბრძოლის პოლიტიკა, მისი ჩაქრობა ცეცხლითა და მახვილით. ინდოეთის ციხეებში დღეს უამრავ პატმირები სხედან; ისინი სხედან გამოუძიებლად, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ მათთვის ჯერაც არ წამოუყენებიათ ბრალდებები. ბევრი მათგანი სამუდამოდ დაიღუპა გამოძიების მოლოდინში. უახლოეს წარსულში „ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობის გამო" 4 კაცი დახვრიტეს, დანარჩენებს სასტიკი განაჩენი გამოუტანა კლასიურმა სასამართლომ.

თეთრი ტერორი ინდოეთში ტარდება სამხედრო ძალების ხელმძღვანელობით, მათი უშუალო მონაწილეობით. მიმდინარე წლის თებერვლის 3 საიმონის კომისიის ჩამოსვლის გამო მოწყობილ დემონსტრაციების დარბევაში მონაწილეობას იღებდა არა მარტო პოლიცია, არამედ ბრიტანეთის ჯარების მთელი ადგილობრივი შემადგენლობა.

ეს ამბები მაჩვენებელია იმისა, თუ რა ძლიერი ტემპით ვითარდება რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

ლუგანიშვილი

რემედასის II-ე ყრილობის დადგენილებები

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ე ბ ი*)

(გაგრძელება)

VII. აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

1. რემედასის აღმზრდელობით მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავიდანვე და დღეს ის ტარდება გეგმითა და განსაზღვრული სისტემით, რამაც გამოიღო თვალსაჩინო შედეგები.

2. რემედასის აღმზრდელობითი მუშაობა მომავალში უნდა ისახავდეს მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას.

3. წარსულ პერიოდში ჩატარებულ მუშაობისაგან მიღებულ გამოცდილებით მტკიცდება, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რემედასის აქტივის ჩაბმა მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში. რემედასის მუშაობათა, საკუთარი აქტივის საშვალებით ჩასატარებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აქტივისტთა კადრების შედგენა უჯრედებში სააგიტაციო მუშაობათა ჩასატარებლად.

4. კლუბებთან არსებული რემედასის კუთხეები წარმოადგენენ მასიურ აღმზრდელობით მუშაობის თვალსაჩინო საშვალებას, რისთვისაც საჭიროა დაუყოვნებლივ შეცვლილი იქნეს კუთხეებში მუშაობის ძველი ფორმები და მიღწეული იქნეს მათი განახლება:

ა) კუთხეების სისტემატიურად განახლებით; ბ) კუთხეებში რემედასის მიმდინარე მუშაობის შესახებ საუბრების, ხმამაღლა კითხვებისა და სხვ. მოწყობით.

5. ყრილობა აღნიშნავს რემედასის არა საკმაოდ შეჭრას კლუბში, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება ფართედ იქნეს გამოყენებული კლუბი რემედასის მხატვრული საღამოების ჩატარების საშვალებით:

ა) რემედასის იდეის გავრცელებას მშრომელთა მასებში; ბ) ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხების გარშემო საზოგადოების ყურადღების შეჩერებას. გ) ორგანიზაციის წევრთა აქტივების გაძლიერების მიზნით უნდა ვეცადოთ, რომ კომპანიებმა არ შესცვალონ ორგანიზაციის ძირითადი მუშაობის გეგმა, არამედ პირიქით, კომპანიები უნდა ტარდებოდეს წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად.

7. აქვს რა უდიდესი მნიშვნელობა საშეფო მუშაობას ის იმთავითვე იზიდავდა ორგანიზაციის შემადგენლობას, რასაც საკმაო შედეგები მოჰქონდა ინტერნაციონალურად აღზრდის საქმისათვის, მომავალში კი აუცილებლად საჭიროა:

ა) კომიტეტებზე მიმაგრებული იქნეს საშეფო ციხეები; ბ) საშეფო მუშაობაში გაძლიერებული იქნეს რემედასის კომიტეტების განაწილება; გ) გაძლიერებული იქნეს საშეფო ციხეების პოლიტ-პატიმრებისაგან მიღებული წერილების გამოყენება მთელს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში.

*) იხ. ჟურ. რემედასის № 5.

რემედასის საქ. ცენტრ. კომ. ევალება თავის დროზე მიაწოდოს ორგანიზაციებსა და უჯრედების ინსტრუქციები მუშაობის შესახებ, და აგრეთვე სახელმძღვანელოები პროპაგანდისტული მუშაობის ჩასატარებლად და სხვ.

8. გაძლიერებული და გაღრმავებული იქნეს რემედასის ერთიანი დღეების ჩატარება, ამ მუშაობას მიეცეს სისტემატიური ხასიათი. ადგილებს თავის დროზე მიეწოდოს კომპანიების ჩასატარებელი მასალები.

9. გაძლიერებული იქნეს რადიოს, კინოსა და პრესის გამოყენება რემედასის იდეების პოპულიარიზაციის მიზნით. სისტემატიური ხასიათი მიეცეს რადიოს საშვალებით რემედასის გაზეთისა და მოხსენების გადაცემას.

10. მიღწეულ იქნეს სოფლის უჯრედებზე ხელმძღვანელობა კომიტეტების მიერ, უკანასკნელთა მოღვაწეობის გამოკვლევითა და დათვალიერებით.

11. გლეხთა უჯრედებიდან სახსრების შემოსავლის გაძლიერების მიზნით, გამოყენებული იქნეს აგიტ-კომპანიები. დაევალოს ცეკას სოფლის უჯრედებს მისცეს სათანადო სამუშაო დირექტივები.

12. რემედასის იდეების პოპულიარიზაციის მნიზნით გამოყენებული იქნეს სოფლის ინტელიგენცია.

VIII. საგამომცემლო მუშაობის შესახებ.

1. ჩვენი პრესა წარმოადგენს მშრომელთა მასებში რემედასის იდეების გაძლიერება-გაღრმავების ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს, აქტივისათვის სახელმძღვანელო მასალების უმთავრეს წყაროს რემედასის მოღვაწეობის მკვიდრ ნადაგზე დასაყენებლად.

2. ჩვენი პრესა უმთავრესად განზრახულია დაბალ მკითხველთათვის. ყრილობა სასურველად და მიზანშეწონილად სთვლის ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს ი ს“ გამოცემას, ამავე დროს აუცილებლად სთვლის რემედასის მასიურ წიგნაკებისა და სახელმძღვანელოების გამოცემას რემედასის ორგანიზაციის ნაყოფიერების მიზნით.

3. რემედასის საქართველოს ორგანიზაციების საგამცემლო საქმეები უნდა სწარმოებდეს რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტთან, რემედასის ს. ს. რ. კავშირის ცეკას მიერ დამტკიცებულ ხარჯთ აღრიცხვის მიხედვით. რემედასის ლიტერატურა უნდა იცემოდეს განსაკუთრებით ქართულ ენაზე. ყველა გამოცემები უნდა იყოს მასიური ხასიათის და რაც შეიძლება ხელმისაწვდომი მკითხველთათვის. გამომცემლობის ფინანსიური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ყრილობა წინადადებას აძლევს რემედასის ცეკას გამოიმუშაოს მტკიცე ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიაც უნდა სწარმოებდეს რემედასის საქართველოს ცენტრ კომიტეტის მთელი საგამომცემლო მუშაობა.

შენიშვნა: ადგილობრივ ორგანიზაციებს, დიდი კომპანიების ჩასატარებლად, რემედასის საქ. ც. კ. შეთანხმებით შეუძლია გამოსცეს პლაკატები, ლოზუნგები და სხვ.

4. ამ შეხედულებათა ნიადაგზე უნდა აშენოს რემედასმა თავისი საგამომცემლო გეგმა. ყრილობა საჭიროდ სცნობს რემედასის შემდეგი ხასიათის ლიტერატურის გამოცემას:

ა) „საგლეხო ბიბლიოთეკა“—ეს ლიტერატურა განზრახული უნდა იყოს გლეხთა მასებისათვის. მთელს ლიტერატურაში ნათლად უნდა იქნეს დახასიათებული ბურჟუაზიულ ქვეყნებში თეთრი ტეროორის აღვირახსნილობა, კლასიური იუსტიციის საქმიანობა, პატიმარ რევოლიუციონერების, მათი ოჯახის წევრთა და რაც მთავარია გლეხკაცობის აუტანელი მდგომარეობა.

ბ) „რემედასი და ახალგაზრდობა“, ამაში უნდა შედიოდეს მასალები ახალგაზრდობის განაწილების შესახებ. რემედასის ორგანიზაციებში და საერთოდ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ბრძოლის შესახებ.

გ) გამომცემლობამ უნდა გამოსცეს აგრეთვე რემედასის კურსებისა და წრეებისათვის სახელმძღვანელო მასალები. გამოქვეყნებული უნდა იქნეს აგრეთვე მასალები საზაფხულო მუშაობის შესახებ და სხვ.

5. ყრილობა აქცევს რემედასის ცეკას ყურადღებას აგრეთვე მხატვრულ მასალების აგიტაციურ პლაკატების და სხვ. გამოცემის აუცილებას.

6. დაევალოს რემედასის ც კ. გამომცემლობას გააუმჯობესოს ჟურნალ „რემედასი“ ტეხნიკურის მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟურნალში ადგმზრდელობითი და ადგილებზე ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მასალების გამოქვეყნებას.

IX. პოლიტ-ემიგრანტების შესახებ.

1. პოლიტ-ემიგრანტების ჯანმრთელობის შენახვის მიზნით რემედასის ს. ს. რ. კავშირის მიერ გაცემული დირექტივების გატარდეს.

2. ყრილობა აღნიშნავს ს. ს რ. კ. რემედასის ცეკას დირექტივებისაგან გადახვევას პოლიტ-ემიგრანტებზე დახმარების გაწევის საქმეში. ადგილობრივ ორგანიზაციებმა რაიმე თანხების დახარჯვა პ.-ემიგრანტებზე აუცილებლად უნდა შეუთანხმოს რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს.

რეზოლიუცია რემედასის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის მოხსენების გამო

რემედასის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობამ მოისმინა რა ამხ. ნანეიშვილისა მოხსენება ს. ს. რ. კავშირში რემედასის ოგანიზაციების მდგომარეობის შესახებ, იწონებს რემედასის საკ. ცენტრ. კომიტეტის ხაზს, მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად და აღნიშნავს შემდეგ მიღწევებს:

1. თეთრ ტეროსის მოქმედებათა საპროტესტოდ თავის დროზე გამოძახილს, აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკურ ამბების გამო სათანადო კომპანიების მოწყობას, ამ მხრივ ყველაზე უფრო აღსანიშნავია საკოსა და ვანცენტის წამების, ჩინეთის, ვენისა და სხვ. ამბების საპრ. კამპანიები.

2. ცენტრალურ კომიტეტის მიერ რემედასის ძირითად ორგანიზაციებთან კავშირის გამოცოცხლება.

3. ნაწილობრივად ფასიანი აპარატის შემცირებას, როგორც თვით ცეკაში ისე ადგილებზე.

4. სამოსწავლო წლისათვის (26 – 25 წ.წ.) დროზე მომზადებას.

5. საგამომცემლო მუშაობის გაძლიერებას: იაფფასიან წიგნაკების გამოცემა, ბიულეტენისა და ჟურნალ „პუტ მოპრა“-ს ხარისხობრივად გაუმჯობესებას და ფასის დაკლებას.

ამასთანავე ერთად რემედასის საქ. II ე ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ცეკას ყურადღება მიაქციოს შემდეგს:

1. ს. ს. რ. კ. მშრომელთა კავშირის გაძლიერება დასავლეთის აღმოსავლეთისა და კოლონიალური ქვეყნების რევოლიუციონური მუშათა კლასთან, პოლიტ-პატიმრებთან და მათი ოჯახის წევრებთან.

2. მომავალში დაუყონებლივ იქნეს მიღებული სათანადო ზომები რემედასის ქალაქისა და სოფლის ორგანიზაციების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

3. გაძლიერებული და გაღრმავებული იქნეს უპარტიო აქტივი ჩამოყალიბდეს ნებაყოფლობითი ინსტრუქტორების, ორგანიზატორების, აგიტატორების და სხვ. ჯგუფები.

4. გაძლიერებული იქნეს, სადაც არ არის დაუყონებლივ ჩამოყალიბდეს სექციები (საგუბ. და ძირითადი ორგანიზაცია - უჯრედებში).

ის წევრები, რომლებიც ვერ ანხორციელებდენ პლენუმის დადგენილებებს შეცვლილი იქნეს ახალი აქტიურ-ამხანაგებით.

5. დაკვირვებით აღრიცხული იქნეს რემედასის წევრები:

6. გაძლიერებული იქნეს რემედასის დისციპლინა, როგორც ყრილობის დადგენილობათა და ცეკას პლენუმთა ცხოვრებაში გასატარებლათ, ისე ფინანსიურ, ინფორმაციული და და სტატისტიკური აგნარიშებისა და ჩატარებული კამპანიების მასალების წარმოდგენის შესახებ.

7. მომავალში გაძლიერებული იქნეს რემედასის მუმუშაობა საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ მოწყობილი კამპანიებში მონაწილეობის მიღებით.

6. გაძლიერებულ იქნეს რემედასის მუშაობა კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციებში.

9. გაძლიერებულ იქნეს საშეფო მუშაობა პოლიტ-პატიმრებზე.

10. აუცილებლად იქნეს ცნობილი სარევიზიო კომისის მონაწილეობა ყოველ დღიურ საქმიანობაში, ამ მი-

ზნით განმეორებით წინადადება მიეცეს ადგილებს სათანადო მითითებით და ღონისძიებათა აღნიშვნით.

11. რემედასის სრულიად საქართველოს II-ე ყრილობა აღნიშნავს რა რემედასის ს. ს. რ. კ. ც. კ. საწევრო გადასახადთა შემოსავლის სისუსტეს, რომელიც წევრთა რაოდენობასთან შედარებით უდრის მხოლოდ 30%, —ადგილობრივ ორგანიზაციების მხრივ ფინანსიურ დისციპლინის დარღვევას, —აპარატის შესანახად დიდი ხარჯების გაწევას, რემედასის საკავშირო ც. კ. ყურადღებას აქცევს ქვემო აღნიშნული ღონისძიებათა გატარების მიზნით:

1. დაფარული იქნეს საწევრო გადასახადთა დავალიანება.

2. იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც არ იხდიან საწევრო გადასახადებს იქონიოს ზნეობრივი ზეგავლენა.

3. გატარებული იქნეს ადგილებზე მომუშავე ორგანიზაციებიდან თანხების შეგროვება შემნახველ სალაროების საშვალებით.

4. დამზადებული იქნეს ყველა ორგანიზაციებისათვის უფრო გამარტივებული საანგარიშო ფორმები.

5. აღნიშნავს რა მუშაობის სისუსტეს ნაციონალურ ორგანიზაციებში, რემედასის იდეების არა საკმაო სიძლიერით შეჭრას მოსახლეობის სხვადასხვა ფონებში, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ცეკას ყურადღება მიაქციოს:

1. ადგილობრივი ორგანიტაციები ვალებულნი არიან თავიანთი მუშაობა დაუკავშირონ პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირულ და სხვ. საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობას.

2. ნაციონალურმა კომიტეტებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ პოპოლიარულ და იაფასიან წიგნაკების პლაკატების და სხვ. გამოცემას, საამისო გეგმის რემედასის ს. ს. რ. კ. ც კ. წინასწარ შეთანხმებით.

3. ჩატარებული იქნეს განსაკუთრებული მუშაობა რემედასის აქტივის მოსამზადებლად.

4. სააგ. საპ. მუშაობა ეწყობოდეს უმთავრესად ქოხ. სამკითხველოებში, ქალთა ნაც. უმც. კლუბში, და სხვ. საამისო მუშაობის გეგმის სათანადო ორგანოებთან წინასწარ შეთანხმებით.

5. რემედაში ქალთა მასების ჩაბმის მიზნით მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ქალთა უჯრედების ჩამოყალიბება, ამ მუშაობის პარტკომებთან არსებულ ქალთა განყოფილებსა და ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიებთან წინასწარ შეთანხმებით.

საზაფხულო მუშაობა

(საინსტრუქციო წერილები).

რემედასის საქართველოს ყველა ორგანიზაციებს:

რემედასის ორგანიზაციების მუშაობაში მიღებული გამოცდილებანი გასულ წლის განმავლობაში ნათელყოფს რემედასის უჯრედთა მოღვაწეობის ჩამოქვეითებას განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. ამის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ ორგანიზაციების მიერ არა საკმაო ყურადღების მიქცევა და ალღოს აღება მასიურ საზაფხულო მუშაობისადმი.

რემედასის საქ. ც. კ., მიაჩნია რა ასეთი მოვლენა მეტად არა ნორმალურად უჯრედებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობაში, საჭიროდ სთვლის დაუყონებლივ გაუკეთდეს მობილიზაცია რემედასის აქტივს არა მარტო მუშაობის საერთო ტემპის შენარჩუნებით, არამედ ყოველგვარ მასიურ მუშაობათა გამოსაცოცხლებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად მომავალ ზაფხულის განმავლობაში.

რემედასის საზაფხულო მუშაობა უმთავრესად გამოიხატოს:

ა) მშრომელ მოსახლეობის ფართე მასებში განმარტებული უნდა იქნეს საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის საკითხები და ამ ბრძოლის პროცესში რემედასის უდიდესი მნიშვნელობა, მასიური მუშაობისათვის საზაფხულო შესაძლებლობათა სავსებით გამოყენებით.

ბ) რემედასის წევრთა აქტივობის შესანარჩუნებლად, უკეთ „მათ გამაგრებას თავის პოზიციაზე", რომელიც მიღწეულია მუშაობის საზამთრო პერიოდში.

დ) მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რემედასის კადრების მოქმედებათა უფრო გაძლიერებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად.

იმისათვის, რომ ღირსეულად იქნეს ჩატარებული მთელი ამოცანები, საჭიროა შემდეგი ღონისძიებანი:

საორგანიზაციო დარგში

1. ზაფხულის პერიოდში ჩატარებულ იქნეს უჯრედთა აქტივის არა ნაკლებ ორი საინსტრუქციო თათბირისა, რომელიც მთლიანად უნდა იქნეს მიძღვნილი საზაფხულო მუშაობის პრაქტიკულ საკითხებისადმი, ამა თუ იმ დაწესებულება-წარმოების პირობებთან შეფარდებით.

2. არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული საწევრო ანარიცხების რაოდენობის შემცირება, ფინანსიურ დისციპლინისადმი ჯეროვანი ყურადღების მიქცევით და სარევიზიო კომისიების მუშაობის გაძლიერებით.

3. გაძლიერებულ უნდა იქნეს ნებაყოფლობითი ინსტრუქტორების კადრი, რომელიც შერჩეული უნდა იქნეს აქტივისტებისა და შვებულებაში მიმავალ პირთაგან.

4. ზაფხულის პერიოდში შესწავლილ იქნეს რემედასის მუშაობის წარმოების გზები ჩამოყალიბებულ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში (თვითმშრომელთა დიასახლისებში, სახლში მომუშავეთა და მშრომელ ინტელიგენციის ნაწილში და სხვ.).

5. რემედასის მთელი საზაფხულო მუშაობა, საბოლოო ანგარიშში ხელს უნდა უწყობდეს ორგანიზაციის წევრთა რიცხვობრივად ზრდას. რაც შეიძლება მეტი პროცენტი უნდა იქნეს რემედასში ჩაბმული გლეხთა და ჩამოყალიბებულ ფენებიდან, ამავე დროს გაძლიერებულ იქნეს რემედასის ფინანსიური საფუძველი.

სააგიტაციო დარგში

ზაფხულის პირობები სრულიად სხვაგვარ მეთოდებსა და ფორმებს აყენებს ჩვენს წინაშე რემედასის ძირითად ორგანიზაციებში აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად რემედასის მასიური მუშაობის ღია ცის ქვეშ გადატანა თავიდან აგვაშორებს მუშაობის სიძნელეებს და ჰქმნის მეტად კარგ პირობებს რემედასის მასიური აგიტაციის ჩასატარებლად.

მოსამზადებელი ნაწილი

1. თავის დროზე უნდა მომზადდეს აქტივი რემედასის საზაფხულო მუშაობის ჩასატარებლად. ამ მიზნით მოწვეულ იქნეს საინსტრუქციო თათბირი, სადაც გარჩეული უნდა იქნეს რემედასის საზაფხულო სააგიტაციო მუშაობა ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულების პირობების მიხედვით.

2. სათანადო ზომები იქნეს მიღებული რემედასის საზაფხულო აღმზრდელობითი მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად (მეთოდები და ფორმები), ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამ მასალების დროზე მიწოდებას აქტივისტებზე სათანადო მითითებათა მიცემით.

3. გათვალისწინებული იქნეს საზაფხულო მასიური მუშაობის გეგმა, რაც უნდა შეუთანხმდეს პროფკავშირის კულტკომისიას და ადგილობრივად არსებულ საშეფო პოლიტ-განმანათლებელ ორგანიზაციებს.

მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს დამყარებული მახლობელ უჯრედებთან, მასიურ აგიტაციის ჩასატარებლად, თუ ერთი რომელიმე უჯრედისათვის საძნელო იქნება აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება.

მუშაობის ფორმა და მეთოდები

რემედასის მნიშვნელობისა და ინტერნაციონალურ აღმზრდელობითი საკითხების განსამარტავად შესაძლოა გამოყენებულ იქნას, რემედასის საზაფხულო მუშაობის შემდეგი სააგიტაციო ფორმები:

1. უნდა ეწყობოდეს რემედასის წევრთა ექსკურსიები იმ ადგილებში, სადაც სწარმოებდა რუსეთის რევოლიუციონური მუშათა კლასის ბრძოლა თეთრ ტერორთან, რეაქციისა და სამოქალაქო ომების პერიოდში, მისი თანამედროვე საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლასთან დაპირისპირებით კაპიტალისტურსა და კოლონიალურ ქვეყნებში.

2. რემედასის წევრთა მასიური ექსკურსიები მახლობელ სოფლებში გართობისა და გლეხთა მასებში რემედასის იდეის პოპულიარიზაციის მიზნით.

3. რემედასს წევრთა ქალაქის გარეუბნებში „დასასვენებლად გამგზავრება“, სადაც ჩატარებული უნდა იქნეს აღმზრდელობითი ხასიათის საუბრები, ხმამაღალი კითხვა და სხვა.

4. სხვადასხვა ორგანიზაციების (პროფკავშირების, კომკავშირის, კლუბების, საშეფო უჯრედების, ქოხ-სამკითხველოებისა და სხვ.) მიერ მოწყობილ ექსკურსიებში მონაწილეობის მიღება რემედასის იდეისა და ინტერნაციონალურ აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მიზნით.

5. რემედასის „სმიჩკა“ წითელ არმიელთა ნაწილებთან რემედასის წევრთა მასიური ექსკურსიის მოწყობით წითელ არმიელთა ბანაკებში და რემედასის აგიტაციის გაძლიერებით ადგილებზე ტერიტორიალურ ნაწილებში.

6. ორგანიზაციებში შემოღებულ იქნეს რემედასის საღამოების მოწყობა საზაფხულო კლუბებში, მოედნებზე, წითელ კუთხეებთან (როგორც ქალაქად, ისე სოფლად). ამ საღამოებში ჩატარებული უნდა იქნეს საუბრები, დიაპოზიტივებისა და კინო-სეანსების დემონსტრაციით.

ტფილისი * საჯარო ბიბლიოთეკა *

7. საზაფხულო ბაღებში (პარკებში, სტადიონებში, ფიზკულტურის პუნქტებში და სხვ.) მოეწყოს მოძრავი „კიოსკი-პავილიონები“ რემედასის ლიტერატურით. მოეწყოს მასიურ დღესასწაულებზე რემედასის ლიტერატურის გავრცელება, ამ მიზნისათვის მობილიზაცია გაუკეთდეს რემედასის აქტივს.

სოფლად მიზანშეწონილი იქნება გლეხთა ყოველგვარ შეკრებულებათა გამოყენება საუბრებისა და ხმამაღალი კითხვის ჩასატარებლად.

8. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად სათანადო ადგილებზე დაფების გაკეთება, სადაც უნდა ცხადდებოდეს საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობისა და თეთრი ტერორის შესახებ საინტერესო ცნობები.

9. მოწყობილ იქნეს ყოველგვარი სააგიტაციო ზომები ინდივიდუალურ ხელისმომწერთა კადრების გასაძლიერებლად, როგორც რემედასის ს. ს. რ. კავშირის, ისე საქართველოს ცენტრ კომიტეტის პერიოდულ გამოცემებზე, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

მუშაობა შვებულთა შორის

გამოყენებულ იქნეს მუშა-მოსამსახურეთა საზაფხულო შვებულების პერიოდი, აგრეთვე საზაფხულო არდადეგები მოწაფეთა, მუშფაკულტა, სტუდენტთა, რომლებიც მიდიან სოფლებში, მაზრებში და სხვა პუნქტებში. რემედასის იდეების გასაღრმავებლად მშრომელთა ფენებში. მათ შორის ჩატარებულ იქნეს სპეციალური საუბრები რემედასის გარშემო, მუშაობის მეთოდების შესახებ და შეძლების დაგვარად მასას მიეწოდოს რემედასის ლიტერატურა.

გადასამზადებელი კურსები

მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვეულებრივად ტარდება მასწავლებელთა და პოლიტ-განმანათლებელ მუშაკთა გადამზადება — უმთავრესად სოფლად. ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მიიღონ ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა ამ კურსებზე ჩატარებულ იქნეს რემედასის საუბრებიც.

საჭიროა ზაფხულის პერიოდში საფუძველი ჩაეყაროს საშემოდგომო -საზამთრო მუშაობას. მიღწევები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება დაყენებული ეს მუშაობა.

რემედასის მუშაობა ხელს უნდა უწყობდეს ზაფხულის პერიოდში რემედასის მასების თვითმოქმედებას და ინიციატივის გამოჩენას.

რემედასის ს. ს. ს. რ. ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საზაფხულო პერიოდში გადასვლის დროს თქვენს მიერ ყოველივე ზემოაღნიშნული ჯეროვანად იქნება გათვალისწინებული.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე **შ. ლეჟავა.**

ც. კ. პ/მ. მდივანი **ალ. ქოიავა.**

1/VI — 28 წ. ტფილისი.

■ ■ ■ ■

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(ბორჩალოს მაზრა)

ჩვენს მაზრაში არსებობს სულ რემედასის 19 უჯრედი, რომელშიაც ირიცხება დაახლოვებით 900 წევრი.

1925 წ. ფასიანი ინსტრუქტორის საშვალებით მუშაობა ჯეროვნად მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგში ფასიანი თანამშრომელი მოხსნილი იქნა, ვინაიდან ორგანიზაციის მთელი შემოსავალი ხარჯებს უნდებოდა. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინსტუქტორის მოხსნის შემდეგ ნაგლები ცოცხალი კავშირი არსებობს სამაზრო კომიტეტსა და ადგილებს შორის, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრ ადგილებში რემედასის უჯრედებმა შესწყვიტეს კიდეც თავიანთი მოღვაწეობა.

მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გახდა შესაძლებელი მათი მუშაობის ნაწილობრივი გამოცოცხლება. გაცხოველებით მიმდინარეობს პოლიტ-აღმზდელობითი მუშაობა, ამასთანავე ერთად შემჩნეულია შემოსავლის გაძლიერება და საშეფო ციხეებთან მიწერ-მოწერის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, სახელდობთ, ბევრ ადგილებში ორგანიზაცია ეხლა, ყალიბობის პროცესშია ამიტომ გასაკვირალი არაა, თუ მუშაობა ვერ მიმდინარეობს გაცხოველებით. მომავალ სამუშაო გეგმების შესამუშავებლად და მაზრის მასშტაბით რემედასის მოღვაწეობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად მოწვეულ იქნა სამაზრო კონფერენცია მიმდინარე წლის მაისის 30.

კონფერენციის ყველა დელეგატები მიუთითებდენ დეფეკტებზე, ისინი ერთხმად მოითხოვდენ უჯრედებში მომავალში ჩატარებული იქნეს საუბრები რემედასის შესახებ.

გ. აგასოვი.

ნაკლი გამოსწორდა

(ქ. თბილისი)

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენს სასწავლებელში (სამეურნეო ეკონომიურ ტეხნიკუმში) გადახალისდა რემედასის ბიუროს შემადგენლობა. გასულ სამუშაო პერიოდში მუშაობა საერთოდ მოისუსტებდა. წევრთა შემადგენლობაც საგრძნობლად გაიზარდა. სისტემატიურად იმართება საუბრები რემედასის სხვა და სხვა საკითხების გარშემო.

დროზე და უნაკლოდ იკრიბება საწევრო გადასახადები. ახალო მომავალში განზრახულია მოეწყოს რემედასის კუთხე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობას ნაწილობრივი გამოცოცხლება დაეტყო, საჭიროა უფრო მეტი აქტივობა, რათა რემედასის ამოცანები მთელი 100% იქნეს განხორციელებული.

ქ. ქოჩიაშვილი

აქტიურად მუშაობენ

(ხეთა, ზუგდიდის მაზრა)

ადგილობრივ 9 წლედის ახ. ლ. კომ. კავშირის უჯრედთან დიდი ხანია არსებობს რემედასის ბიურო, უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში ის სრულ უმოქმედობას იჩენდა, მაგრამ მიმდინარე წელს საგრძნობლად გამოცოცხლება დაეტყო მას ყოველ მხრივად. დღეს ჩვენს უჯრედში ირიცხება 84 წევრი.

აქვე აღსანიშნავია ის გარამოებაც, რომ ორგანიზაციის რიცხობრივი შემადგენლობა დღითი-დღე მატულობს, ხშირად ტარდება ლექცია-საუბრები რემედასის გარშემო.

საკმაო რაოდენობით ვრცელდება რემედასის ლიტერატურა საერთოდ და კერძოდ, რემედასის საქართველოს ცენტ. კომ. ორგანო ჟურ. „**რემედას**“, მიღებულია ზომები ჟურნალის უფრო მეტი რაოდენობის გასავრცელებლად.

ადგილობრივი დრამატული ძალების მიერ რამოდენიმე ჯერ გაიმართა საღამო-წარმოდგენები, რომლის წმინდა შემოსავალი მთლიანად გადაირიცხა რემედასის სასარგებლოდ.

აკაკი ჯღარკავა

როგორ მუშაობს ჩვენი უჯრედი

(ქ. ზესტაფონი)

ქ. ზესტაფონის რკინის გზის ადგილკომთან რემედასის უჯრედი ჩამოყალიბდა 1927 წ. სექტემბერში. მუშაობა მოისუსტებდა პირველ ხანებში, არც წევრთა რაოდენობა იყო მაინცა-და-მაინც საკმაო.

უკანასკნელ ხანებში, უჯრედში მელიტონ ქათამაძის მდივნად ამორჩევის შემდეგ უნდა ითქვას, რომ მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა.

დღეს-დღეობით უჯრედი აერთიანებს 15 წევრს. უჯრედში კრებები სისტემატიურად ეწყობა. უჯრედის ხელმძღვანელობით 2-ჯერ გაიმართა საღამო-წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაიდო რემედასის სასარგებლოთ საწევრო გადასახადი 1927 წ. განმავლობაში მთლიანად აკრეფილია, რაც შეეხება 1928 წ. საწევრო გადასახადები 80%-დე აკრეფილია.

უჯრედში საკმაოდ ვრცელდება ჟურნალ „**რემედას**“ და საერთოდ რემედასის სხვა ლიტერატურაც.

შედარებით უნდა ითქვას რომ რემედასის უჯრედი დღემდის ნაყოფიერად მუშაობდა.

ვასილ გეგეშიძე.

ქ რ ო ნ ი კ ა

— მიმდინარე წლის ივნისის 10 ტფილისში, სტუმრად ჩამოვიდენ ამერიკელები, ქ. ნიუ-იორკის რემედასის ორგანიზაციის აქტიური წევრები ამხ. ევა რუბენ და ალბერტ მუდიანო, სტუმრებმა დაახლოებით ერთი კვირა დაჰყვეს ტფილისში, სადაც დაათვალიერეს მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები და ღირსშესანიშნავი ადგილები, სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ზაჰესიც, რის შემდეგ ისინი გაემგზავრენ მოსკოვში.

— ა/წ ივლისის ბოლო რიცხვებისათვის რემედასის საქ. ცეკა სცემს ქართულ-რუსულად ერთდროულ ჟურნალს: „ხმა კაპიტალის პატიმართა“. აღნიშნულ ჟურნალის გავრცელებასთან არის დაკავშირებული ლატარიის გათამაშება სხვა და სხვა პრემიებით. რემედასის ყველა ორგანიზაციები და უჯრედები ვალდებულნი არიან სათანადო ზომები მიიღონ საამისოდ გამოცემული „ტალონების“ გავრცელებაში. ჟურნალი ეღირება 15 კაპ.

გამომცემლობა რემედასის ს. ც. კ.

პ/მგ. რედაქტორი თ. ჟღენტი.

სარედაქციო კოლეგია { 1. ალექსანდრე ქოიავა. 2. მიხ. ცქვიტინიძე 3. პოლიო აბრამია.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

მთავალ. № 1256. შეკვ. № 1178. დაიბეჭდა 2500.

შინაარსი: 1. ჩვენი საზაფხულო მუშაობისათვის. 2. ამხ. ბელა კუნის დაპატიმრება — **ალ. ქოიავა.** 3. ამხ. ანდრე მარტის პროცესი ბულონში — **ვ. შ.** 4. უნდა გამოცოცხლდეს რემედასის მუშაობა — **პოლიკარპე ოჩიგავა.** 5. „საკოსა და ვანცეტის“ საქმე საბერძნეთში — **ქ. ბ — ო.** 6. მოგონებები (ამერიკა) — **პ. კრაუჩ.** 7. თამილა — **ფ. დიუშენ** (რომანი) — თარგ. **პოლიო აბრამიასი.** 8. მებრძოლთა მიმართ (ლექსი) — **არნო ონელისა.** 9. პატიმარ ქალის სიმღერა (ბულგარეთის ციხეში) — ლექსი — **გედეონ გუგუნავასი.** 10. მაისობა საზღვარგარეთ. 12. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინდოეთში — **ლუგანიშვილი.** 13. რემედასის II-ე ყრილობის დადგენილებები. 14. საზაფხულო მუშაობა და წერილები ადგილებიდან.